



Photo By Maia Chkhaidze

წინასიტყვაობა

ჩვენ უკვე მეშვიდედ შევხვდით ერთმანეთს და კვლავაც ბევრი გვაქვს სათქმელი. თუმცა, ამჯერად უცხოელ დამსვენებლებს მოვუთხრობთ ჩვენი ქვეყნის შესახებ.

მაშ ასე, ჩვენი მიზანია ერთად გავიცნოთ საქართველო. სად არის ეს ქვეყანა? ევროპაში თუ აზიაში? უფრო ევროპაში, უფრო სწორად იგი მდებარეობს ორი განსხვავებული კონტინენტის შესაყარზე.

კავკასია – ბუნების უნიკალური ნაკრძალი, განთქმულია თავისი საოცარი მრავალფეროვანი ლანდშაფტებით, გარდა ამისა აქ ძველთაგანვე გადიოდა გზები ევროპიდან აზიაში და აზიიდან ევროპაში. ამ გზებზე გვხდება ძველი დასახლებანი, ისტორიული ძეგლები, არქეოლოგიური გათხრები. და ბოლოს, გავეცნობით ქართულ, თავისებურ კულტურას, რომელმაც განიცადა როგორც ევროპული, ისე აზიური ცივილიზაციის ჯვარედინი გავლენა. საოცარია, საიდუმლოებებითა და წინათვრძნობებით აღსავსე ყოველივე ეს...

დააკვირდით რუქას და ნახავთ, რომ საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, ყველგან მთები, მთები, ... მაღალი, საშუალო და პატარა მთები... მეომართა შუბებივით ცაღ აწვდილი მწვერვალები, ნახავთ დედის ძუძუსავით მრგვალ, მხარდამხარ მდგომ მთებს, თეთრი, მარადიული თოვლით დაფარულს.

დაინახავთ ხშირი ტყეებით აქოჩრილ გორაკებს, ალპური ბალახებისა და ნოხივით ყვავილებით აჭრელებულ მთებს. მათ შორის არის მთავარი კავკასიონის ქედის გვირგვინი, მისი ცენტრალური ნაწილი - დიდი კავკასიონი.

მდინარეებს დაუსერავთ მთები, ისინი ერთმანეთს ერთვიან, ერთად იკრიბებიან, რათა შექმნან კიდევ ერთი, კიდევ უფრო მძლავრი მდინარე, რომელიც უნდა შეუერთდეს შავ ზღვას. ცოტა რამ შავი ზღვის შესახებ. ალბათ არ არის მოგზაურობის ისეთი მოყვარული, რომელსაც არ აღელვებდეს სიტყვა ზღვა. ძველი ბერძნები შავ ზღვას „ვექსინის პონტს“, სტუმართმოყვარეობის ზღვას უწოდებდნენ. დასანანია, რომ ეს სახელწოდება დავიწყებულია, თუმცა კვლავ ძალაშია ამ სიტყვებში ჩაქსოვილი არსი

დასავლეთ საქართველო შავი ზღვის რეზერვუარის გავლენას განიცდის. იგი ნოტიო, სუბტროპიკულია ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. აღმოსავლეთი კლიმატით უფრო მშრალია, აქვს მთელი რიგი მცხუნვარე ველები, მწვანე ხეობები და მაღალი ზეგნები.

ჩვენს ურბანულ საუკუნეში ჭეშმარიტი სიამოვნებაა სოფელი. ქართული სოფლის გლეხკაცი გულითადი, სტუმარტმოყვარე, პურმარილიანია. ასე დამკვიდრებულა ოდითგანვე. ბარაქიანმა მიწამ ასწავლა კაცს ასევე ბარაქიანად გაუყოს სხვას თავისი ჭირნახული. მასპინძლის სახლი მუდამ ღიაა სტუმრებისათვის, ყოველთვის მოიძებნება მარანში ღვინო, სუფრაზე გაჩნდება შემწვარ-მოსარშული ქართველთა პირველ განმანათლებელს, მე –IV საუკუნეში, „ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა“.

გადმოცემათა მიხედვით, მან საქართველოს სამხრეთ საზღვარზე თავისავე თმებით შეჰკრა ეს ჯვარი და ასე შემოვიდა ივერიაში.

მევენახეობა საქართველოში ტრადიციულია. ვაზისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება მართლაც რომ უნიკალურია საქართველოში. უძველეს ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და ახალი თუ ძველი წელთააღრიცხვის ნაგებობათა ნანგრევებზე, რომლითაც უხვადაა მოფენილი საქართველოს მთა და ბარი, სწორედ ვარდისფრად მსხმოიარე ვაზითაა დაჩუქურთმებული.

დაუთვლელია ჩვენი ძველი ტაძრების ზვიადად აღმართულ კედლებზე ელვარე ქვაში აყვავებული უკვდავი ვაზის ყლორტები.

აღბათ ვაზისადმი ამ უსაზღვრო სიყვარულმა შექმნა ჩვენს პატარა მიწაზე ამ დალოცვილი კულტურის ხუთასი სხვა და სხვა სახეობა. საუკუნეების მანძილზე ვერაფერმა გაჰყარა ერთმანეთისაგან ვაზი და ქართველი კაცი; ეს გაყრა და გათიშვა კი, ჩვენს ტრაგიკულ ისტორიაში ყველა მტერს სურდა.

ქართული მევენახეობის ბურჯია კახეთი, ალაზნის ველი. ეს არის საუკეთესო „საღვინე“ ყურძნის სამშობლო. აქ წარმოებული მშრალი ღვინოები საქვეყნოდ არის ცნობილი.

საქართველოს დედაქალაქი – თბილისი, იგი გაშენებულია მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე. მტკვარზე გადებული ხიდები ერთმანეთთან აკავშირებენ ქალქის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს.

მარცხენივ, ციცაბო ფერდობზე, იქ სადაც მეტეხის ეკლესიაა და მედიდურად მოუდერია ყელი, აღმართულია ვახტანგ გორგასლის ძეგლი რომელმაც დაარსა თბილისი 1500 წლის წინათ, უფრო სწორად მცხეთიდან გადმოიტანა სახელმწიფოს დედაქალაქი. ლეგენდა გვიამბობს ხოხბისა და გოგირდოვანი წლის ისტორიას, იქნებ ვახტანგ მეფეს მოსწონდა აქ ნადირობა ან ციცაბო კლდეები – ბუნებრივი ციხე-სიმაგრე ან ამ კლდეებიდან გადმომდინარე თბილი სამკურნალო გოგირდოვანი წყაროები, რომელთაგან მომდინარეობს სწორედ ქალაქის სახელწოდებაც.

უძველესი დროიდან ეს ქალაქი დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო ცენტრი იყო. გეოგრაფიული აღმოჩენა ოდესღაც ფრიად გაცხოველებულ სატრანზიტო საქარავნო გზისა, რომელიც თბილისზე გავლით მიემართებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, და მაინც თბილისი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქი, სანატრელი იყო როგორც ახლობელი, ისე შორეული მეზობლებისათვის. საერთოდ, მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, მას ორმოცჯერ განუცვლია შემოსევა, ძარცვა-გლეჯა, უღმობელი ნგრევა, რის შემდეგ ფენიქსივით კვლავ აღმდგარა ნაცარტუტიდან.

საქართველოს წარსულში ჰქონია ისეთი პერიოდი, როცა ქვეყანა იფურჩქნებოდა, როცა ქართველთა მეფეები მთელი კავკასიის ისთმოსს – ორ ზღვას შუა მდებარე მხარეს განაგებდნენ – ტამანის ტალახიანი ვულკანებიდან ვიდრე მარად ცეცხლოვან ბაქომდე, ბეშთაუს ხუთი მთაგრეხილიდან ვიდრე სომხეთის ზეგნის სიდრემდე გაშლილ ვრცელ ქვეყანაზე ბატონობდნენ წერს ერთგან კარლ კოხი. (მოგზაურობა საქართველოში).



Introduction

We are meeting for the seventh time and still we have much to say; though this time we shall retell about our country to the foreign guests.

Our goal is to introduce Georgia. Are you interested in where this Country is? In the Europe or Asia? In the Europe, more correctly, at the junction of the two continents.

Caucasus – unique sanctuary of nature – Is famous for its wonderful diverse landscapes. Roads from Europe to Asia and vice versa crosses Caucasus and we meet with ancient settlements, historical monuments and archaeological excavations on them. And finally, we shall be introduced with specific Georgian culture, which has been influenced by both European and Asian civilizations. All these issued full of mystics and presentiments make you fascinated...

Observe the map and you will see that Georgia is mountainous country, there are mountains, mountains and mountains everywhere... High, average and low hills... the peaks rise over the lean, you'll see great mountains covered with eternal snow, often with the forests, or alpine grass and flowers... The most important among them is the crown of Great Caucasian Ridge, its central part – Great Caucasus.

The mountains are characterized by rivers, they join and gather together to create one stronger river to join Black Sea. Some news about Black Sea: there can not be any traveler not concerned about the word Sea. Ancient Greeks called Black Sea “Pontus Euxinus” – the sea of hospitality. It is regrettable that this name is forgotten today, though the essence included in them are still in force.


Western Georgia is influenced by the Black Sea reservoir. It is humid and subtropical with corresponding outcomes. Climate in the eastern Georgia is drier. Here are numbers of sunny valleys, green gouges and high table-lands.

In our urban century village is the true pleasure. Georgian countryman is wholehearted and hospitable. This comes from ancient times. Luxuriant land thought a man to share his crop to others. House of the host is always open to the guests Wine in the cellar and delicious meal on the table, are waiting for the guests.

According to the legends the first Enlightener of Georgia St. Nino “who carried Grapevine cross” tied the cross with her own hair and entered Iberia from its southern border.

Viticulture is traditional in Georgia. Endless love and devotedness to the vine is truly unique. Ruins of the ancient architectural monuments and constructions of AD and BC, which are spread all around Georgia, engraving of vine are often met, as well as scions of vine burst into blossom imaged on the walls of the ancient temples.

It must be love that supported creation of more than five hundred varieties of this blessed culture



His Holiness
and Beatitude
ISIDORA II
Patriarch of
Georgia

საეკლესიო

საქართველოს

დასავლეთის

- მეთაურია

უწმინდესი და უნეტესი

აღმა II



თბილისი



Tbilisi




















Հրեմուտ Երվանդ Երկրորդի Կաթողիկոս



გამოჩენილი ქართველი მწერალი -ჭაბუა ამირეჯიბი 2010 წლის 15 ოქტომბერს ბერად აღიკვეცა. ბერად აღიკვეცის საიდუმლო ამირეჯიბის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა, მეუფე სერაფიმმა სახლში ადავლინა. სასულიერო ცხოვრებაში მას დავითი დაარქვეს. საქართველოს პატრიარქის კურთხევით, ბერი დავითი საკუთარ სახლში გააგრძელებს სასულიერო და სამწერლო მოღვაწეობას, თუ ამის სურვილი თავად ექნება. წესის აღსრულების შემდეგ ბერს სასულიერო შესამოსელი და სკვნილი გადასცეს, რის შემდეგაც სამშობლოზე ღოცვის კურთხევაც მიეცა.

ჭაბუა ამირეჯიბი - მწერალი. დაიბადა თბილისში 1921 წლის 18 ნოემბერს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მხოლოდ სამი კურსი. იყო ანტისაბჭოთა ორგანიზაცია "თეთრი გიორგის" ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი. შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით მას 1944 წელს მიესაჯა პატიმრობა 25 წლით. ციხიდან სამჯერ გაიქცა, ორჯერ მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. პატიმრობის 16 წლის განმავლობაში იყო ტყის მჭრელი, ჩრდილოეთ ოსეთის სატყეო კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი, ბელორუსიის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ტყის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის უფროსი და დირექტორი. გათავისუფლების შემდეგ საქართველო-ამერიკის ერთობლივი საწარმოს "ამსაქფილმის" დამაარსებელი და დირექტორი. „ალმანახ კინოს დამაარსებელი და დირექტორი, საქართველოს „სახკინოს“ სარეკლამო – საინფორმაციო ბიუროს დამაარსებელი და დირექტორი, კინოსტუდია "ქართული ფილმის" მეორე გაერთიანების მთავარი რედაქტორი, კინოსტუდია "მემბტიანეს" დირექტორი, საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე, გაზეთ "განახლებული ივერიის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე. გამოქვეყნებული აქვს ათეულობით პუბლიცისტური სტატია, გამოსცა მოთხრობების სამი კრებული, საბავშვო იგავ-არაკების კრებული „თაფლის წვეთი“. რომანები: "დათა თუთაშნია" და "გორა მბორგალი". მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს 30-მდე ენაზე.

დაჯილდოებულია სსრკ სახელმწიფო, რუსთაველის, ჯურნალ "ზნამიას", რუსეთის უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის და საქართველოს სახელმწიფო პრემიებით, არის "თბილისის გაზაფხულის" დიდი პრიზის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არის ღირსებისა და გორგასლის ხარისხის ორდენის კავალერი.

არის საქართველოს მწერალთა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი, შემდეგ კი პარლამენტის წევრი, მსოფლიოს წამყვან "ინტელექტუალთა საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის და აშშ-ს ბიოგრაფიულ ცნობარებში.

ჰყავს მეუღლე – პოეტი თამარ ჯავახიშვილი და ექვსი შვილი.

სულიერ სიმხნევეს, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ ბერ-მონაზონ დავითს, ერისკაცობაში ჭაბუა ამირეჯიბს.



The Secret of consecration...

Chabua Amirejibi – a writer. Was born in Tbilisi on November 18, 1921. He finished only three years of Tbilisi State Pedagogical Institute. He was one of the founders and member of Anti-Soviet Organization “Tetri Giorgi” (White Saint George). He was sentenced to 25 years in prison on charges of preparing an armed rebellion in 1944. He escaped from the prison three times. He was twice sentenced to the highest punishment measure. He served as a hewer during 16 years of imprisonment, also building manager and director of wood processing plant of Belarus Ministry of Timber Industry. After release from prison he was founder and director of Georgian-American Joint Enterprise “Amsaqfilmi”. Founder and Director of “Almanac” film; Founder and Director of advertising-information bureau of “Sakhkino” of Georgia, Chief Editor of second union of Film-studio “Qartuli filmi”, Director of the film-studio “Mematiane”, Chairman of Defense Fund of Georgia, one of the finders and Chair of the board of newspaper “Ganakhlebuli Iveria”. He has published tens of publicist articles, three collections of stories, collection of fables for children “Honey drop”, as well as the novels: “Data Tutashkhia” and “Gora Mborgali”. His novels are translated in about 30 languages of the world.

He is awarded state Premium of USSR, as well as Rustaveli, magazine “Znamya”, Russian Library of Foreign Literature and State Georgian prizes; he is the laureate of grand prize of “Tbilisi Spring”, Honorable Art Worker; he is the Cavalier of the Medals of Honors and Vakhtang Gorgasali.



Mr. Chabua is the member of the Unions of Writers and Cinematographers of Georgia, he was a member of State Board of Georgia, and later member of Georgian Parliament; one of the founders and members of leading “Society of Intellectuals” of the world. His **biography is filed at Cambridge and USA Biographical Dictionaries.**

He has a spouse – poet Tamar Javakhishvili and six children.


We wish spiritual strength, health and long **life to the monk Davit, Chabua Amirejibi.**



Famous Georgian writer Chabua Amirejibi was consecrated as a monk on October 15, 2010. The ceremony of consecration was conducted by Father Serafim, Metropolitan of Borjomi and Bakuriani at Writer's apartment due to Amirejibi's health condition. He was named Davit in his spiritual life. By the Patriarch's blessings, Monk Davit would continue his spiritual and writing activities at home, if he wishes so... After service the Religioner was given ecclesiastic dressing and prayer beads. After this he took blessing for praying for the homeland.



ბენიამინი ის,
ვინც თავს
ბენიამრად რაცხს



გურამ დონანაშვილი – მწერალი. დაიბადა 1936 წლის 26 მარტს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. დროთა განმავლობაში მოღვაწეობდა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვის ხანის არქეოლოგიის შემსწავლელ განყოფილებაში უმცროს მეცნიერთანამშრომლად, უფროს „მნათობის“ პროზის განყოფილების გამგედ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ რედაქტორად. გამოცემული აქვს ორმოცამდე წიგნი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ოცზე მეტ ენაზე. მოთხრობების მიხედვით გადაღებულია ერთი სრულმეტრაჟიანი და რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, დადგმულია ხუთი სატელევიზიო სპექტაკლი, თხუთმეტამდე რადიოდადგმა. არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედიის მფლობელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჰყავს მეუღლე -ნათელა სეფიაშვილი, ერთი შვილი და საყვარელი შვილიშვილი –თინათინი. -ის ამბობს, რომ „ბაბუა გიჟია, იმიტომ, რომ ჩემზე გიჟდება“

ჰობი: კლასიკური მუსიკა.

საყვარელი მწერალი: ყველა ქართველი ჭეშმარიტი კლასიკოსი.

1946 წელს მომავალი მწერალი სასწავლებლად მიიბარეს ვაჟთა პირველ სკოლაში. მისი თანაკლასელები იყვნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ჯონდო მეტრეველი წაუყენა ანტისაბჭო თა პროპაგანდა, ხოლო სასამართლომ სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ პირობითი სასჯელით შეუცვალეს.

მწერლის ცხოვრებაში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი იყო 1966 წელი. 7 აპრილს დაიბადა მისი პირველი შვილი –ქეთო და გამოიცა პირველი წიგნი „მთის გადაღმა“. ორი წლის შემდეგ მიირეს მწერალთა კავშირში. ამავე წლის 29 მაისს დაიბადა მისი უმცროსი ვაჟი –ირაკლი, რომელიც 1990 წელს ტრაგიკულად დაიღუპა. ეს უდიდიდესი ტკივილი იყო, მას სასულიერო პირები და უახლოესი მეგობრები დაეხმარნენ ტკივილის მიუყნებაში.

2010 წლის დეკემბერში კიდევ ერთი წიგნი, „რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება“ გამოვიდა, ნაწარმოები ავტობიოგრაფიული შინაარსისა.

...ქვეყანას კრიზისიდან მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთ-სიყვარული გამოიყვანს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მტერს არაერთხელ აუწიოკებია, ის სიყვარულითა და ერთგულებით ისევ ამაყად წამომდგარა ფეხზე. მე მჯერა, რომ საქართველო ამჯერადაც დადგება მოწოდების სიმალლეზე.

უზომოდ ბედნიერი ვარ, როცა ქუჩაში ნაცნობ-უცნობები გადიმებული თვალებით, თანადგომით მიმზერენ. ერთხელ, უსინათლოთა საზოგადოებასთან შეხვედრისას უსინათლოებმა მითხრეს – ბატონო გურამ, ჩვენი თვალის სინათლე ხარო, სამყაროში იმაზე დიდი ჯილდო არ არსებობს, რასაც ხალხის დიდი სიყვარული ჰქვია. მხოლოდ ერთს ვისურვებდი: იმედი არ გამეცრუებინოს მათვის, ვისაც ჩემი სჯერა.





Guram Dochanashvili – a writer, was born on March 26, 1936. Graduated from Tbilisi State University specialized as a historian. He worked at the Department of Stone Age Archeology of Ivane Javakhishvili Institute of History, Archeology and Ethnography for the scientific worker, at Prose department of the magazine “Mnatobi” as a head of the department, Chief Editor of film studio “Kartuli Filmi” in different times. He has published about 40 books. His works are translated into more than twenty languages. One full-length and several short-features are shot by his stories; also five TV-performances, and about fifteen radio-performances. Owing Ivane Javakhishvili Medal, he is laureate of State

Premium of Georgia.

He has a wife – Natia Sefiashvili, one child and a granddaughter – Tinatin. She says “Grandpa is mad, as he is mad of me”.

Hobby: classical music.


Favorite writer: every true Georgian classic author.

The year 1966 was special and the most important in the Writer’s life. On April 7 her daughter Keto was born and his first book “Over the mountain” was published. Two years later he became a member of the Writers’ Union. His Son – Irakli was born on May 29 of same year, who died tragically on 1990. This was a huge pain. Religious persons and close friends helped him in overcoming it.

In 2010 he published another book “What I Keep in Mind and Remember the Most”; the book is of autobiographic content.

“Love of each-other is the only thing that could pull the country out of the crisis, notwithstanding the fact that our Country was terrorized by the enemy many times, it was able to stand up with love and devotion. I believe Georgia to return its glory. I’m happy meeting with people in the streets watching me smiling and sustentation. Once blind people told me at the meeting – Mr. Guram, you are the light of your eyes. There is nothing more precious, then love of the people. I wish myself not to disappoint those, who believe in me.”

Who considers himself happy,
is the happiest person...





კონცერტის დედამთავარი

„ძალიან მოხარულები ვართ, რომ ტრადიცია გრძელდება და ფესტივალი შედგება, ალბათ მალე დადგება დრო, როდესაც აფხაზეთშიც შესრულდება და აფხაზეთიდან ბევრი ადამიანი დაესწრება და მოისმენს თქვენს ბრწყინვალე მუსიკას.“

უწმიდესი და უნეტარესი,
საქართველოს პატრიარქი
ილია II

ლიანა ისაკაძე – მუსიკოსი. მან 3 წლის ასაკში ფორტეპიანოზე დაკვრა დამოუკიდებლად დაიწყო. 7 წლისას თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს სპეციალობით უნდა ჩაებარებინა გამოცდები, მაგრამ ავად გახდა და შემთხვევით ვიოლინოს კლასში ჩარიცხეს. 10 წლის ასაკში ლიანა მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეა, სადაც პროფესორ დავით ოისტრიხის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და გადაწყდა, რომ ეს საოცარი ბავშვი მოსკოვში წაეყვანა. 14 წლისა მუსიკოს – შემსრულებელთა საკავშირო კონკურსზე გამონაკლისის სახით დაუშვეს და გაიმარჯვა. 17 წლის ასაკში უგამოცდოდ ჩარიცხეს მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში. იგი ამთავრებს ამავე კონსერვატორიის ასპირანტურასაც. 21 წლისა კი უკვე დავით ოისტრიხის ასისტენტია. მან 18 წლის ასაკში მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსზე, პარიზში გრამპრი და პირველი პრემია მოიპოვა.

ლიანა ისაკაძე 1965 წლიდან იწყებს საგასტროლო მოგზაურობას საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და ევროპის ქვეყნებში. 1970 წლიდან მოსკოვის ფილარმონიის სოლისტია. 1981 წლიდან იწყება მისი სადირიჟორო კარიერა, სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს. 1991-97 წლებში ქალბატონ ლიანასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ორკესტრი მოღვაწეობდა გერმანიის ქალაქ ინგოლშტატში. იქვე მისი თაოსნობით დაარსდა დავით ოისტრიხის სახელობის მუსიკალური აკადემია.

ლიანა ისაკაძე მრავალი საინტერესო წამოწყების ინიციატორია. მათ შორის აღსანიშნავია ბიჭვინთის მუსიკალური ფესტივალი “ღამის სერენადები”, რომელიც წლების განმავლობაში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. ამავე სახელწოდების ფესტივალი ტარდებოდა გერმანიაში. აღსანიშნავია თბილისსა და მოსკოვში გამართული ფესტივალები “მუსიკოსები ხუმრობენ”, “პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში” და სხვა.

2002 წლიდან მისი თაოსნობით ხორციელდება კიდევ ერთი არაჩვეულებრივი პროექტი. ბორჯომში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო ფესტივალი “ხელოვნების ზეიმი”.

ქალბატონ ლიანას მიღებული აქვს შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიები. 1984 წელს მიენიჭა სსრკ სახალხო არტისტის წოდება.

2001 წელს ინგლისში, კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ დაჯილდოვდა მედლით და შეიყვანეს წიგნში როგორც XX საუკუნის მუსიკოსი. იგი ასევე, დასახელებულია საუკეთესო მევიოლინეთა შორის აშშ-ში, ავსტრიაში, ინგლისსა და გერმანიაში.

უნდა აღინიშნოს ლიანა ისაკაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობაც, 1989 წელს არჩეული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1994 წლიდან გერმანიაში დაარსა საქართველო-გერმანიის კულტურის ცენტრი, 1998 წლიდან კი საფრანგეთშიც. მას შექმნილი აქვს გრანდიოზული ფონოტეკა. ჯერ კიდევ მოსკოვში მოღვაწეობისას ჩაწერა 60-მდე ფირფიტა; იაპონური და ამერიკული ფირმების მიერ გამოშვებულია 15-მდე კომპაქტ-დისკი. მასზე გადაღებულია მრავალი ფილმი საქართველოში, გერმანიაში, ფინეთში, რუსეთსა და უკრაინაში.



Liana Isakadze – a musician. She started playing piano at her 3 year age independently. When she was 7 she had to pass exams to Tbilisi Central Music School for piano specialization, but she got ill and became the student of violin class by accidentally. At her age of 10 Liana participated at Moscow International Festival, where she interested professor Davit Oistrakh and he decided to take amazing child to Moscow. She was admitted to the Union Competition of musicians as an exception when she was 14 years old and she won. 17 years old Liana entered Moscow State Conservatoire without exams. She is a graduate student the Conservatoire. She becomes the assistant of Davit Oistrakh in her age of 21. Liana won Grand Prize and the First Premium at the International Competition of Violinists of Margaret Long and Jacque Tibout when she was 18 years old.

Liana Isakadze began tours around Soviet Union and European countries in 1965. Since 1970 she was soloist at Moscow Philharmony. She began her career of a conductor in 1981 and led State Chamber Orchestra of Georgia. In the years 1991-97 the Orchestra acted at German city Ingolstadt pursuant to the Agreement concluded with Mrs. Liana. Musical Academy named after Davit Oistrakh was founded there under her guidance.

Liana Isakadze is the initiator of numbers of interesting beginnings. Bichvinta Music Festival “Night Serenades”, which was being conducted with success for years, is one of the most remarkable ones. The Festival with same name was being held in Germany as well. Festivals held in Tbilisi and Moscow “Musicians are joking”, “Pilgrimage from Europe to Jerusalem” and others should be noted as well.

Since 2002 a wonderful project is being realized under her guidance. International Festival “Art Celebration” is held in Borjomi every year.

Mrs. Liana was awarded with Shota Rustaveli and Zakaria Paliashvili Premiums. In 1984 she was awarded the title of the Public Actor of the USSR.

In 2001 she was awarded by Cambridge (England) International Centre of Biography with a medal and she was included into the book of the musicians of 20th century. She was also nominated among best violinists in the USA, Australia, England and Germany.

Social activities of Liana Isakadze must be noted as well. In 1989 she was elected for the

member of the Supreme Board of the Soviet Union. In 1994 she founded the Center of Georgian-German Culture in Germany, and in 1998 she did it in France as well. She has created great audio library. She recorded about 60 EPs in Moscow, Japanese and American companies published about 15 CDs. There are many films about her made in Georgia, Germany, Finland, Russia and the Ukraine.



QUEEN OF THE VIOLIN



“We are joyful that tradition is continued and festival will be held, the time when it is held in Abkhazia is supposed to come too, and many people from Abkhazia will attend it and listen to the magnificent music”

***His Holiness and Beatitude,
Patriarch of Georgia - Ilia the 2nd***





თანამედროვეობის
უდიდესი ლეჟენდარი



რობერტ სტურუა, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორი, დაიბადა 1938 წელს, თბილისში. 1962 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. რუსთაველის თეატრში 1963 წელს მოვიდა. 1980 წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმული აქვს ასამდე სპექტაკლი. რობერტ სტურუა მშვენივრად ხატავს, უკრავს ჯაზს, წერს პიესებს, აქვს უტყუარი ინტუიცია, ყოველთვის გრძნობს დროებას და არის უკომპრომისო. პირველი წარმატება მიღერის „სეილემის პროცესის“ დადგამა მოუტანა.


37 პიესიდან ჩვიდმეტი უკვე დადგმული აქვს რუსთაველის სცენაზე და მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში. ლონდონის რივერსაიდ სტუდიაში დადგმული „ჰამლეტი“, აღან რიკმანით მთავარ როლში, შექსპირის საერთაშორისო საზოგადოებამ ბოლო 50 წლის მანძილზე შექმნილ ათ საუკეთესო სპექტაკლს შორის დაასახელეს. თბილისური „ჰამლეტის“ ორივე ვერსია, სტურუას თქმით, „დრომ მოიტანა“, „ისევე როგორც მკაცრი და დინამიური „მაკბეი“, ან „როგორც გენებოთ, ანუ შობის მეთორმეტე ღამე“, თავისი განსაკვიფრებელი რიტმითა და პირობითობით.

1994 წელს სტურუამ ი. გოგებაშვილის დედაენის მიხედვით დადგა სპექტაკლი „იაკობის სახარება“, ორი წლის შემდეგ იქმნება „ლამარა“, გ. რობაქიძის ლირიკულ- მითოლოგიური დრამის მიხედვით. 1997 წელს თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დადგმული „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“ განსაკუთრებით პოპულარული ხდება ახალგაზრდა თაობაში. 1998 წელს რეჟისორ დ. საყვარელიძესთან ერთად სტურუამ დადგა კ. გოლცის პიესა „ქალიგველი“. ამავე წელს მოსკოვში თეატრ „სატირიკონში“ იდგმება სტურუას „ჰამლეტი“ რომელშიც მთავარ როლს ასრულებს კ. რაიკინი. 2000 წელს ისევ მოსკოვში, თეატრში „ეპიკტეტა“ იდგმება „შეილოკი“ (ვენეციელი ვაჭარის მიხედვით).

რობერტ სტურუას სამყარო მრავალფეროვანია. მის სპექტაკლებში ჰარმონიულადაა შერწყმული ტრაგედია და კლოუნადა, ფარსი და მელოდრამა. კლასიკურ კომიზმს ფილოსოფიური მედიტაციები ენაცვლება. უკიდურესი რაციონალიზმი იოლად იძენს გროტესკულ თუ სარკასტულ ელფერს, ეს მრავალფეროვნება ეკლექტური არასდროს ყოფილა. რადგან რეჟისორი მსუბუქად და ელეგანტურად მართავს სცენასა და მსახიობებს, მისი ფანტაზია ამოუწურავია და მას ყოველთვის ხელთ უპყრია სპექტაკლის იდეა და რიტმი. სტურუას სპექტაკლებმა რუსთაველის თეატრს და თავად რეჟისორს მსოფლიო აღიარება მოუტანა. მის დადგმებს სენსაციურს უწოდებენ. ხოლო რობერტ სტურუას ევროპული თეატრის ყველა ცნობილ რეჟისორს ადარებენ. არ დარჩენილა არც ერთი ფესტივალი სადაც მისი სპექტაკლები არ ყოფილიყოს წარმოდგენილი. ქართველი მსახიობების შეუდარებელი პროფესიონალიზმით აღფრთოვანებული მაყურებელი ოვაციას ვერ მაღავდა. ავსტრიაში, პოლონეთში, საფრანგეთსა თუ შვეიცარიაში. სტურუამ დაიპყრო მექსიკა, ედინბურგი. ლონდონი, იერუსალიმი, რომი, მოსკოვი, დიუსელდორფი და რაც მთავარია მშობლიური თბილისი.

მიღებული აქვს მრავალი თეატრალური პრემიები: სსრკ სახელმწიფო, რუსეთის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილის სახელობის, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის, ალ. ყაზბეგის სახელობისა და ჩაპლინ – კლუბის პრემიები. აგრეთვე დაჯილდოებულია საერთაშორისო პრემიებით: ალბერტ შვეიცერის სახელობის, ინგლისური კრიტიკის, იტალიური კრიტიკის, არგენტინის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რუსთაველის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პრემიები. მიღებული აქვს პრეზიდენტის ოქროს მედალი. „თოლია“, ყველაზე ორიგინალური რეჟისორული ინტერპრეტაციისათვის. ფესტივალ „ბალტიური სახლის“ მთავარი პრემია. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით (1998)

ჯანმრთელობას და ხანგრძლივ შემოქმედებით მოღვაწეობას ვუსურვებთ ბატონ რობერტ სტურუას.





Robert Sturua - one of the greatest theatre directors of the modernity, was born in 1938, in Tbilisi. In 1962 he graduated from the faculty of directing of the Institute of Theatre. He came to Rustaveli Theatre in 1963. He is principal artistic director of the Theatre since 1980. He has staged about one hundred works. Robert Sturua draws perfectly; he plays jazz, writes plays, has incredible intuition; he feels time and is uncompromising person. His first success came with staging of "The Trial of Salem" by Miller.

Seventeen of the 37 plays have already been staged at Rustaveli Theatre and different theatres of the world. "Hamlet" staged by him at London Riverside Studio, with Alan Rickman as the main character, was nominated by the International Society of Shakespeare among ten best performances having been staged during last 50 years. Both versions of Tbilisian "Hamlet", to Sturua's words, "were brought by the time", just like strict and dynamic "Macbeth", or "As You Wish, or Twelfth Night of Christmas", with significant rhythm and conventionality.

In 1994 Sturua Staged "Jacob's Gospel" based on "Dedaena" by I. Gogebashvili, two years later he staged "Lamara" after lyrical-mythological drama of G. Robakidze. "So What if the Wet Lilac is Wet" staged in 1997 on the basis of Tabukashvili play became most popular among young generation. In 1998 together with the director D. Sakvarelidze, Sturua staged "Snakewoman" by K. Goltz. Same year Sturua's "Hamlet" was staged in Moscow at the theatre "Satiricon" with K. Raykin in the lead. In 2000 "Shylock" (on motives of "the Merchant of Venice") was staged at the theatre "Etcetera" in Moscow.

The world of Robert Sturua is multifarious; Tragedy and clowning, farce and melodrama are combined harmonically in his plays. Classical comics are replaced by philosophic meditations. Extreme rationalism gains grotesque or sarcastic notes. This multifariousity has never been eclectic, as the Director manages the stage and actors in elegant manner. His fantasy is endless and he holds the idea and rhythm of the theatre in hands. Sturua's plays have gained recognition to Rustaveli Theatre and the Director himself. His plays are called sensational, and compare Robert Sturua to each famous directors of European Theatre. There is no theatre festival without his performances. The audience, being delighted with outstanding professionalism of Georgian actors, can't keep ovations in Austria, Poland, France and Switzerland. Sturua "engaged" Mexico, Edinburgh, London, Jerusalem, Rome, Moscow, Düsseldorf and native Tbilisi, of course.

He has received numbers of theatrical awards: State Award of USSR, State Award of Russia, State Award of Georgia, Kote Marjanishvili Award, Mikheil Tumanishvili Award, as well as the rewards of Al. Kazbegi and Chaplin Club. He is also awarded with international prizes: of Albert Schweitzer, of English Critics, of Italian Critics, of the State University of Argentina, as well as the rewards of Rustaveli International Theatre Festivals. He was awarded Golden Medal of the President; "Tolia" for the most original directing interpretations; Grand Prize of the Festival "Baltic House". He is awarded with the Medal Of Honor of Georgia (1998).

We wish Mr. Robert Sturua good health and long creative work.



*The Greatest Theatre
Director of the Modernity*



საოჯარო ხარისხის შაქმნაში

მიზანსწრაფულობა მთავარი



სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული, საოპერო ხელოვნების უბადლო შემსრულებელი, ქალბატონი ლამარა ჭყონია საცხოვრებლად საქართველოში დაბრუნდა.

ლამარა ჭყონია 1930 წელს ბათუმში დაიბადა. 1970 წლიდან იგი საქართველოს სახალხო არტისტია. ექვსი წლის შემდეგ მას საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს, მოგვიანებით კი უკრაინის სახალხო არტისტიც გახდა. იგი უამრავი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. მათ შორის: -პრადის, მოსკოვის, სოფიისა და ტოკიოს კონკურსების. 2011 წლის იანვარში საქართველოს პრეზიდენტის რძანებულებით იგი ბრწყინვალეების ორდენით დაჯილდოვდა 2011 წლის 1 სექტემბერს, ბათუმის ახლად გახსნილ მუსიკისა და ხელოვნების წარსდგა. (მკითკველს შევახსენებთ, რომ 9 აპრილის მოვლენების შემდეგ ქალბატონი ლამარა სცენაზე აღარ ასულა, ეს მისი პროტესტის უკიდურესი

ფორმა იყო. მაშინ ცნობილმა მომღერალმა წინასწარ დაგეგმილ უმნიშვნელოვანეს კონცერტზე უარი განაცხადა და არ წასულა რუსეთში კონცერტზე.) აღსანიშნავია, რომ გრანდიოზული საიუბილეო გალაკონცერტში მონაწილეობდნენ აჭარის მუსიკალური ცენტრის კაპელა და ორკესტრი დავით მუქერიას ღირსიერებით. ცნობილმა ქართველმა შემსრულებლებმა, იტალიელმა, ესპანელმა და უკრაინელმა ოპერის მომღერლებმა და მსახიობებმა კონცერტზე დასასწრებად ყველა დაგეგმილი კონცერტები გადადეს და მონაწილეობის მისაღებად ზღვისპირა ქალაქში რამდენიმე დღით ადრე ჩავიდნენ. სხვა ცნობილ უცხოელ შემსრულებლებთან ერთად ლამარა ჭყონიას ქალიშვილები, ნატა (ნიკოლი) და ეთერ (ლამორისი) ჭყონიებიც მონაწილეობდნენ.

ოპერის თეატრში, რომ მიმიღეს, იმ დროს „დაისის“ პრემიერა მზადდებოდა. მაროს პარტიაზე მე ამომირჩიეს, მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ზურიკო ანჯაფარიძესთან ერთად მიწვევა თამაში. როგორც ყველა ახალგაზრდა მეც ვიყავი ზურაზე შეყვარებული, რამაც ხელი შემიშალა „მაროს დატირებაში“. ამის შესახებ პრესაც კი წერდა.

საქართველოში ძალიან ცოტა სპექტაკლში ვმონაწილეობდი, ძირითადად მეორეხარისხოვან როლებს მადღევენენ, შესაბამისად ხელფასიც საკმაოდ დაბალი იყო. არჩევანის წინააღმდეგ და მივიღეთ გადაწყვეტილება, კიევის თეატრში გადავსულიყავით. კიევის თეატრში ჩემი მეუღლე მორის ლეკიაშვილი უმაღლესი მიმიღეს. თუმცა, მორისმა უღტიმატუმი წაუყენა: მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩებოდა თუ მეც მიმიღებდნენ სოლისტად. თეტრის დირექტორმა უარი განაცხადა, სოპრანოები ისედაც ბევრი გვყავსო. გადავწყვიტე, ვიდრე არ მომისმენდა მის მისაღებაში ვმჯდარიყავი. მესამე დღეს დილის რვა საათზე ისევ რომ მისაღებაში მნახა გაოცდა და მკითხა, ისევ აქ ხარო? როგორც იქნა ჩემი მოსმენა მოინდომა, შესვენებაზე დიდი როიალი გამოიტანეს, მე ყველა ცნობილი არია შევასრულე, ისე ველავდი, რომ არც კი შემიმჩნევია დარბაზი როდის გაიგოს მსახიობებით, მომღერლებით, რეჟისორებით და სამხატვრო ხემდღვანელებით. ოვაციებით დარბაზი ქუხდა, დირექტორმა ჩემი მეუღლის მოძებნა გადაწყვიტა, ნახა და ღიმილით უთხრა, რა თქმაუნდა ორივე მიღებული ხართო.

მადლიერებით გავიხსენებ კიევს, თუმცა საქართველოზე ნოსტალგია მოსვენებას გვიკარგავდა.

1967 წელს იაპონიაში გამართულ კონკურსზე გავიმარჯვე, საქართველოშიც ჩამოაღწია სმებმა ჩემი წარმატების შესახებ. მახსოვს კიევში საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისის ოპერის დირექტორი დიმიტრი მჭედლიძე, არ დავეკონკრეტებოთ თუმცა მან გვაიძულა თავის დროზე დაგვეტოვებია საქართველო და უცხოეთის ცის წვეშ გვეძება ჩვენი ადგილი. მოხდა ისე, რომ ჩვენ თბილისში დავბრუნდით და მანამ ცხოვრობდით ვიდრე სამოქალაქო ომი არ დაიწყო. ამან უდიდესი დარტყმა მომაყენა ტკივილს ვეღარ გავეუძელი და ესპანეთში გადავედი საცხოვრებლად.

რაც შეეხება ჩემს შვილებს: საკმაოდ რთული იყო მათთან მუშაობა, ჩემმა დიდმა შრომამ და მკაცრმა დისციპლინამ შედეგი გამოიღო. მათ საოპერო კარიერის შექმნაში მიზანსწრაფულობა იყო მთავარი, კიდევ მოთმინება და დაუღალავი შრომა, ეს საკმაოდ რთული გზაა, მადლობა უფალს.

ჩემი უფროსი შვილი -ნატო ავსტრიაშია, ქალაქ გრაცში, კონსერვატორიის პროფესორია. ეთერი მადრიდშია. ისინი მთელ მსოფლიოში ეწევიან საგასტროლო მოღვაწეობას. მინდა წარმატებები ვუსურვო არა მარტო ჩემს შვილებს, არამედ ჩემს მოსწავლეებსაც. მთავარია საქმე შუა გზაში არ მიატოვონ, არ დაიღალონ.

DILIGENCE IS PRINCIPLE IN OPERA CAREER

Living legend, excellent opera singer Mrs. Lamara Chkonia returned back to Georgia.

Lamara Chkonia was born in Batumi on 1930. Since 1970 she was Public Actor of Georgia. Six years later she was awarded the title of Public Actor of the USSR, and later she became Public Actor of the Ukraine. She is the Laureate of numbers of International Competitions, including Prague, Moscow, Sofia and Tokyo Competitions. She was awarded the Order of Excellency in January 2011 by the President's Order.

On September 1, 2011 she sang at newly opened Theatre of Music and Art of Batumi. (We'd like to remind you that after tragic events of April 9, Mrs. Lamara didn't come out on stage. This was extreme form of protest expressed by her. Well known Singer refused a planned concert of great importance and didn't leave for Russia). It is remarkable that in grand jubilee gala-concert was participated by the Choir and Orchestra Adjara Music Center conducted by Davit Mukeria. Famous Georgian, Italian, Spanish and Ukrainian opera singers and actors postponed there own concerts and arrived to the seaside town for participation. Lamara Chkonia's daughters Nata (Nicole) and Eter (Lamoris) were singing together with other singers.

When I accepted to the Opera Theatre, they were working on "Daisi" (Twilight) Premiere. I was selected for Maro's party. I was very young that time. I was to play with Zuriko Anjaparidze. I was in love with Zura, like each young girl, and this influenced upon my playing the scene of "Maro's mourning" badly. It was even highlighted in the newspapers.

I participated in few shows in Georgia; they used to give me supporting roles, and the salary was law. I had an alternative and made a decision to move to Kiev Theatre. They employed my husband Moris Lekishvili immediately there, but he gave them an ultimatum: he would stay there if they accept me as a soloist. Director of the Theatre refused, as he had many sopranos. I decided to sit in his receiving office until he listens to me. He was surprised when saw me there on the third day. 'Are you still here?' – He asked. He decided to listen to me at last. They brought out a grand piano. I sang each famous aria. I was so excited that didn't notice how the hall was filled with artists, singers, directors and art directors. The hall was full of ovations. The Director found my husband and told him: "Of course, you are both accepted".


I'll remember Kiev with gratitude, though we were suffered by homesickness.

I won the competition in Japan in 1967. Rumors about my success reached Georgia. I remember, Dimitri Mchedlidze director of Tbilisi Opera House arrived to Kiev as emergency visit. I'll not go to details, but it was he who had made us to leave Georgia and search for our place abroad. We decided to return to Tbilisi and lived here until Civil War. This harmed me greatly; I couldn't stand pain and moved to Spain to live.

As for my children: It was difficult to work with them, though my attempts and strict discipline had the results. It was diligence that they needed in their opera career, as well as patience and tireless work. This is extremely difficult way, Thank God!

My elder daughter – Nato is in Austria, in the city of Graz. She is professor of the Conservatoire. Eteri is in Madrid. They have tours around the world. I want to wish success not only to my children, but to my pupils as well. Main thing is not to stop doing your job, never become tired of doing it.





ჩემთვის პატრიარქზე უფრო მაღალი შეფასება არ არსებობს

რეზო ჩხეიძე – რეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გენერალური დირექტორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ქუთაისში 1926 წ. 8 დეკემბერს. ცნობილი მწერლის დავით ჩხეიძის (ფსევდ. დია ჩიანელი) ოჯახში. 1943-46 წლებში სწავლობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. 1954 წელს დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. დროთა განმავლობაში იყო ტელეფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი, კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, „ყოველთა ქართველთა“ მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი, თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოფაკულტეტის კათედრის გამგე, პროფესორი. გადაღებული აქვს ფილმები: „მაგდანას ლურჯა“, „ჩვენი ეზო“, „მაია წყნეთელი“, „ჯარისკაცის მამა“, „მშობლიურ ჩემო მიწავ“, „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ და სხვა. მფლობელია – კანის, (საფრანგეთი) ფესტივალის მთავარი ჯილდოს „ოქროს პალმის რტო“ (გრან პრი), ედინბურგის კინოფესტივალის ჟიურის პრიზი., რომის კიპიტოლიუმის, სალონის ფესტივალის მთავარი პრიზი.

მსოფლიო ახალგაზრდობის კინოფესტივალის მთავარი პრიზი. ოქროს მედალიდელის კინოფესტივალის ჟიურის პრიზი, სანფრანციკოს ფესტივალის პრიზი, მამაკაცის როლის შემსრულებლის მთავარი პრიზი (მოსკოვი), ტაშკენტის ფესტივალის პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის, პრიზი საუკეთესო აქტიორთა ანსამბლისათვის. რეზო ჩხეიძის ინიციატივით ჩამოყალიბდა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი, ტელეფილმების სტუდია, კინოფაკულტეტები შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში და სხვ. არის ქორქის (ირლანდია), დელის, რომის, მოსკოვის, სალონიკის, ვილნიუსის, ტაშკენტის და სხვა საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი. სსრკ სახალხო არტისტი, საკავშირო უმაღლესი საბჭოს ორგზის მოწვევის დეპუტატი, ღირსების ორდენის ორგზის კავალერი, კინომატოგრაფისტთა კავშირის წევრი. 2002 წელს საერთაშორისო კინოფესტივალმა „ოქროს რაინდმა“ და ასევე საერთაშორისო კინოფესტივალმა „კინოშოკმა“ დააჯილდოვა ოქროს მედლით კინოხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. ლეგენდარული ქართველი რეჟისორი რეზო ჩხეიძემ დაასრულა ახალ ფილმზე მუშაობა, რომელსაც „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ ჰქვია. ჩხეიძის ფილმები ცნობილია თავისი მხატვრულობით, სულიერებითა და პატრიოტიზმით. მას თავისი მდიდარი შემოქმედების მანძილზე. არა ერთი შესანიშნავი სურათი შეუქმნია. ეს ფილმები კარგად ახსოვს ქართველ და უცხოელ მაყურებელს. დიდი ხელოვანი ყოველთვის უსწრებს დროს. საპატრიარქოში რეზო ჩხეიძემ მის უწმინდესობას უჩვენა „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“, როცა დასრულდა სურათი, ჩამოვარდა სიჩუმე, ყველა უწმინდესის ვერდიქტს ელოდა, პაუზის მერე კათოლიკოსმა ბრძანა: „ბატონო რეზო, ეს წინასწარმეტყველური ფილმიაო.“ ამაზე მაღალი შეფასება არ არსებობს. -საკუთარ თავთან დარჩენა აუცილებელია, განსაკუთრებით ხელოვანისათვის, -განაგრძობს საუბარს ბატონი რეზო და დასძენს, -რთული საქმეა, ისე ვერაფერს შექმნი... მე პირადად ვისწრაფვი განმარტოებისაკენ. მას ვაღწევ მაშინ, როდესაც ყველა იძინებს. ფიქრები დაჰქრის და ფანტაზიაც სწორედ მაშინ მოდის. აქვე გრძნობ სიახლოვეს უფალთან... სადღეისოდ ქართული კინო დიდ განსაცდელშია, შეიძლება დაიკარგოს მთელი დინება, დაიკარგოს ქართული კინოს ფენომენი.

პობი: ოცნებები. საყვარელი მწერალი- შოთა რუსთაველი





There is no higher estimation to me that of the Patriarch's...

Rezo Chkheidze – producer, executive director of “Kartuli Filmi” studio, National Artist. was born in Kutaisi on December 8, 1926 in the family of the famous writer Davit Chkheidze (Pseudonym – Dia Chianeli). In 1943-46 he learnt at Shota Rustaveli State Theatre Institute. In 1954 he graduated from the faculty of directing of Moscow State Institute of Cinematography. He was the manager of art studio of TV films, secretary of the Cinematographers' Union, the president of the World Congress of “All Georgians”, Head of the cathedra of movie-faculty of the Institute of Theatre and Film, Professor in different times. He has made the films: “Magdana's Lurja”, “Our Yard”, “Maia Tskneteli”, “The Soldier's Fate”, “My Native Land”, “Life of Don Quijote and Sancho” and others. He took “Golden Palm” (Grand-Prix), main prize of Cannes (France) Film Festival., the prize of judges at Edinburg Film Festival, Grand prize of Rome Capitol, as well as of Salon Festival, Grand Prix of the World Youth Film Festival, Golden Medal, Prize of the Judges of Deli Film Festival, Prize of San-Francisco Festival, Grand Prize for Best Actor (Moscow), Tashkent Festival Prize for Best Directing, and the Prize for the Best Actors' Ensemble.

At his initiative they established Mikheil Tumanishvili Theatre of Film-actors, TV film studio, Film-faculties at Shota Rustaveli State Institute of Theatre and others. He is the Laureate Cork (Ireland), Deli, Rome, Moscow, Thessaloniki, Vilnius, Tashkent and other international film festivals; Public Artist of the USSR, Deputy of Supreme Soviet of USSR of two convocations, Chevalier of the Medal of Honor two times, Member of the Cinematographers' Union. In 2002 International Film Festivals “Golden Knight” and “Kinoshock” awarded Golden Medal for Outstanding Contribution to Cinematography. The legendary Georgian film director, Rezo Chkheidze has finished working at his new film, the name of which is “Burning Candle on the Christ's Tomb”. Chkheidze's films are famous for his artistic sight, spirituality and patriotism. During his rich creative work, he has created numbers of wonderful pictures. These films are remembered by Georgian and Foreign audience. Great artist always outruns the time. Rezo Chkheidze showed to His Holiness the movie “Burning Candle on the Christ's Tomb” at the Patriarchy. At the end of the Movie, there was silence. Everybody was waiting for the verdict of His Holiness. A minute later, the Catholicos stated: “Batono Rezo, this is prophetic movie.” There couldn't have been higher estimation...

- It is necessary to stay alone, especially for the artist, - says Mr. Rezo and added, - it's difficult, but you can not create anything... As for me personally, I seek for loneliness, and achieve it when everybody sleep. Thoughts are flying and the fantasy appears. This is when you feel closeness to God... Georgian cinematography is in difficulty today. We may lose whole flow, the phenomenon of Georgian Movie.

Hobby: dreaming. Favorite writer: Shota Rustaveli



სენიაშვილის მწვერვალზე

...ნინო ანანიაშვილის განუმეორებელი ხელოვნების გრაციას, შარმს, თითოეულ ნაბიჯსა თუ ნახტომში ჩაქსოვილ უდიდეს შრომასა და სიყვარულს არათუ მოუხიბლავს, არამედ უბრალოდ დაუტყვევებია მაყურებელი. როდესაც მის ოდებტა ოდილიას უყურებ გექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩაიკოვსკიმ ნინოსთვის შექმნა „გედების ტბა“, ადამა სწორედ მას მიუძღვნა „ჟიზელი“, შინკუსმა კი თავისი „დონ-კისოტი“, ხოლო ჩაიკოვსკის „მაკნატუნაში“ ნინო თავად მიჰყვება მოცეკვავე ფიფქებს და შენც მასთან ერთად დვთაებრივი მუსიკის ჰანგები სადღაც ამ დიდი ბალერინას მიერ შექნილ უსასრულობისაკენ მიგაქანებს... ნინო ანანიაშვილის შესახებ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. მასთან მიმართებაში მუდამ ფიგურირებს სიტყვა – პირველი

ნინო ანანიაშვილი დაიბადა 1963 წლის 28 მარტს თბილისში. ნინო ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა, მშობლებმა მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვიტეს შეეყვანათ ფიგურული სრიადის წრეზე. ექვსი წლის ასაკში ნინო უკვე წამყვანი მოციგურავე იყო, ხოლო 10 წლისა საქართველოს ჩემპიონი გახდა იუნიორებს შორის.

1969 წელს ნინო ანანიაშვილი შევიდა საქართველოს სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ინსტიტუტში. თამარა ვიხოდცევა მისი პირველი მასწავლებელი გახლდათ. დიდმა ვახტანგ ჭაბუკიანმა ნინოს მფარველობა ითავა. ნინოს წინსვლა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მოსკოვის ქორეოგრაფიული ინსტიტუტის აღმზრდელების ყურადღებაც კი მიიპყრო და მათი დაჟინებული თხოვნით ნინოს მშობლებმა შვილის მოსკოვში გაგზავნა გადაწყვიტეს. 1976 წელს ნინო მოსკოვის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ინსტიტუტში ჩაირიცხა. მისი პირველი მასწავლებელი ნატალია ზოლოტოვა იყო. მეორე კურსზე ნინომ ანდრის ლიეპას (ლეგენდარული მარის ლიეპას ვაჟს) გაუწია პარტნიორობა და ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლისას მონაწილეობდა პრესტიჟულ საბალეტო კონკურსებში. 1980 წელს ვარნას საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე (ბულგარეთი) მოიპოვა ოქროს მედალი იუნიორებს შორის და გრან-პრი, 1981 წელს მოსკოვში გამართულ მე-4 საერთაშორისო საბალეტო კონკურსში ანდრის ლიეპას პარტნიორობით მოიპოვა ოქროს მედალი.

ნინო ანანიაშვილმა მოსკოვის ქორეოგრაფიული ინსტიტუტი 1981 წელს დაამთავრა და დაიწყო ცეკვა დიდი თეატრის საბალეტო დასში. მისი მასწავლებლები ამ პერიოდისთვის იყვნენ რაისა სტრუჩკოვა და რიმა კარელსკაია; 1987 წელს ნინომ სწავლა განაგრძო მარინა სემიონოვას ზედამხედველობის ქვეშ. თუმცა, იგი ოფიციალურად საბალეტო დასში ირიცხებოდა, ნინო თავიდანვე მხოლოდ სოლო პარტიებსა და პა-დე-დე-ს ასრულებდა გალა კონცერტებზე.

მან ითამაშა „ანა კარენინაში“, „გედების ტბაში“, „დონ კისოტში“, „რომეო და ჯულიეტაში“, „მძინარე მზეთუნახავში“, „ოქროს ხანასა“ და სხვა მრავალში.

1988 წლიდან ნინო ანანიაშვილი გამოსვლებს იწყებს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სცენებზე. ის იყო პირველი ბალერინა ყოფილ სსრ კავშირიდან, რომელიც მიიწვიეს ბალანჩინის თეატრში, „ნიუ-იორკ სითი ბალეში“ სადაც მან შეასრულა წამყვანი პარტიები. „სიმფონია-დო-მაჟორი“ და „აპოლო“ იგი ასევე გამოდიოდა ინგლისისა და დანიის სამეფო თეატრებში. 1993–2009 წლებში ნინო ანანიაშვილი ამერიკული ბალეტის თეატრის მიწვეული პრიმა ბალერინა იყო. იგი შეედეთის, ნორვეგიის, პორტუგალიის, ფინეთის, ბავარიის, მონტე-კარლოს, ბოსტონის, ტოკიოს და სხვა საბალეტო სცენების ხშირი სტუმარია. არის საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი. ზურაბ ანჯაფარიძისა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. საქართველოს პრეზიდენტის ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი.



ნინო ანანიაშვილი პირველი ბალერინაა ვისაც ხელოვნების დარგში მიღწევებისათვის რუსეთის ეროვნული პრიზი „ტრიუმფი“ მიენიჭა

ნინო ანანიაშვილს მშობლიური ქალაქიც არ დავიწყებია. მან პირველმა შეასრულა „გედების ტბა“ და როლი “დონ კიხოტის” ჭაბუკიანისეულ ვერსიაში იური ვასიუჩენკოსთან ერთად ჯერ კიდევ 1983 წელს, როდესაც დიდი თეატრის სოლისტი იყო. მოგვიანებით ცეკვავდა ჟიზელს, და სხვას, თბილისის დასთან ერთად.

ამჟამად იგი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

On the peak of art...

...Grace, charm, as well as great work and love shown in every step and leap of Nino Ananiashvili has not only attracted, but fascinated the audience. When watching her Odete Odile you think that Tchaikovsky created “Swal Lake” for Nino, Adan and Mincus dedicated their “Gisele” and “Don Quixote” to her, and in “Nutcracker” of Tchaikovsky, Nino follows dancing flakes and you are taken to the infinity together created by the great Ballerina... Much can be said about Nino Ananiashvili. The term “the first” is often used in relation with her.

Nino Ananiashvili was born on March 28, 1963 in Tbilisi. She was often ill in her childhood. Her parents decided her to follow the circle of figure skating due to improvement of her health. At the age of six Nino was a leading skater, and at the age of 10 she became Champion of Georgia among juniors.

In 1969 Nino Ananiashvili entered State Choreography Institute of Georgia. Tamara Vikhotseva was her first teacher. Great Vakhtang Chabukiani undertook Nino's protection. Nino's progress was so significant, that he attracted attention of the educators of Moscow Choreography Institute and, at their persistent request, Nino's parents sent their daughter to Moscow. In 1976 Nino entered Moscow State Choreography Institute. Her first teacher there was Natalia Zolotova. Being the second year student, Nino assisted Andris Liepa (son of legendary Maris Liepa) and she participated in prestigious ballet competitions during her studentship. In 1980 she Nino won Gold Medal and Grand Prize at Varna (Bulgaria) International Ballet Competition among juniors and in 1981 she won Gold Medal at Moscow International Ballet Competition dancing with Andris Liepa.

Nino Ananiashvili graduated from Moscow Choreography

Institute in 1981 and began dancing at ballet troupe of Bolshoy Theatre. In that period her teachers were: Raisa Struchkova and Rima Karelskaia; in 1987 Nino continued learning under supervision of Marina Semionova, though officially she was the member of the Ballet Troupe. In the beginning, Nino was playing only solo parties and Pas de deux at Gala concerts.

She played in “Ana Karenina”, “Swan Lake”, “Don Quixote”, “Romeo and Juliet”, “Sleeping Beauty”, “Golden Age” and many others.

Since 1988 Nino Ananiashvili dances at the most prestigious stages of the world. She was the first ballerina in former USSR to be invited to Balanchine theatre, “New-York City Ballet”, where she played leading parties in “Symphony Do-majeur” and “Apolo”. She also danced at Royal Theatres of England and Denmark. In the years 1993-2009 Nino was invited Prima Ballerina of American Ballet Theatre. She is frequent visitor of Sweden, Norway, Portugal, Finland, Bavaria, Monte - Carlo, Boston, Tokyo and other Ballet Stages. She is Public Artist of Georgia and Russia; laureate of State Premiums of Zurab Anjaparidze and Rustaveli, as well as the Cavalier of the President's Order of Excellency of Georgia.

Nino Ananiashvili is the first ballerina to be awarded with National Prize of Russia “Triumph” for achievements in the field of art.

Nino remembers her native city. She was the first to play in Chabukiani version of “Swan Lake” and “Don Quixote” together with Iuri Vasiuchenko in 1983, when she was the solo dancer of Bolshoy Theatre. Later she played Gisele and other roles, together with Tbilisi Troupe.

Today Nino Ananiashvili is Art Manager of Tbilisi State Theatre of Opera and Ballet.



ხელოვნების მწვერვალები



50 წელზე მეტია, რაც გიგა თეატრალურ ხელოვნებაში მოღვაწეობს და მისი შემოქმედების უპირველესი ნიშანია ბრძოლა ქართული თეატრის იდეალების დამკვიდრებისათვის.

აკაკი დვალიშვილი

გიგა ლორთქიფანიძე - რეჟისორი, საქართველოს მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის და გასო აბაშიძის სახელობის

მუსიკალური თეატრის ხელმძღვანელი. დაჯილდოებულია და მინიჭებული აქვს პრაქტიკულად არსებული თითქმის ყველა წოდება, პრემია. დაიბადა 1927 წლის 19 ოქტომბერს, დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა შოთა რუსთაველის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ გადავიდა მოსკოვში ა. ლუნჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში. შემდეგ ქ. ვილნიუსში, რუსულ დრამატულ თეატრში, კაუნასის მუსიკალურ თეატრში. 1951 წელს დაბრუნდა საქართველოში და პირველი წარმოდგენები გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრში განახორციელა. 1952 წელს ბატონი გიგა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მიიწვიეს. 1954-56 წლებში ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი. 1956 წლიდან კვლავ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დამდგმელი რეჟისორია. 1963-64 და 1970-73 წლებში ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ თეატრში უხდებოდა მოღვაწეობა.

გიგა ლორთქიფანიძე XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული რეჟისურის მხატვრული დონის განმსაზღვრელი და ჟანრობრივი მრავალფეროვანი თეატრალური ძიებების ერთ-ერთი უპირველესთაგანია.

ნატალია ბურმისტროვა ამბობს: - გიგა ლორთქიფანიძე, გამორჩეული თავისი ლოგიკითა და ნათელი აზროვნებით, არასოდეს ტვინს არ ურევდა მსახიობებს გრძელი დახლართული მსჯელობა-ლაპარაკით. მისი შენიშვნები ყოველთვის უადრესად კონკრეტული იყო, სხარტი და ყველასათვის გასაგები.

ყოველი მისი აზრი, მსჯელობა იყო ნათელი, ადვილად აღსაქმელი, მისი რკინისებური ლოგიკა ყველაფერს ძირისძირამდე გრძნობდა, მაგრამ ისე აკეთებდა, თითქოს ყველაფერი შენი მიგნებული და აღმოჩენილი იყო, რაც ცხადია, ძალას მმაცებდა და მსახიობებს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას უმტკიცებდა.”

მის ნამუშევარს, რეჟისორულ მანერას ყოველთვის ყველასაგან გამოარჩევ, ეს ნიშნავს, რომ მან თავისი მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა ქართულ რეჟისურაში. მის მიერ განხორციელებულთაგან არის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ქართული თეატრისა და კინოს ოქროს ფონდში შევიდა.

ჰყავს მეუღლე - ქეთევან კიკნაძე, ცნობილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

On the Peak of Art

Giga has been in the theatre art for 50 years and the prior part of his creative work is fighting to promote ideals of Georgian Theatre.

Akaki Dvalishvili

Giga Lortkipanidze – Director, Manager of the Association of a Creative Profession, Shota Rustaveli State Institute of Theatre and Movie and Vaso Abashidze Musical Theatre. He is awarded and granted almost every existed titles and prizes. He was born on October 19, 1927, finished secondary school and continued learning at the faculty of Film Director of Shota Rustaveli Theatre Institute. A year later he moved to Moscow A. Lunacharski State Institute of Theatre Art; then to the city of Vilnius, Russian Drama Theatre, Kaunas Music Theatre. In 1951 he returned to Georgia and staged first plays at Gori G. Eristavi Theatre. In 1952 Mr. Giga was invited to K. Marjanishvili Theatre. In 1954-56 he was chief director of Kutaisi L. Meskhishvili Theatre. Since 1956 he was director of Marjanishvili Theatre again. In 1963-64 and 1970-73 he worked at Russian Theatre named after Griboedov.



Giga Lortkipanidze is one of the definers of art level of Georgian directing and searching for scenic varieties of second part of the 20th century.

Natalia Bermistrova says: -Giga Lortkipanidze differs in his logics and clear minds. He has never confused actors with long speeches. His remarks have always been extremely specific, laconic and clear. His every idea, as well as his discussion was clear and easy to understand. His strong logic used to feel everything, but he used to do it as if everything was found and discovered by you that, of course, gave me strength and the actors trusted in themselves.

You will distinguish his works, manner of a director in everything. This means that he has occupied the Place in Georgian directing sphere. Some of the works, realized by him, are in the Golden Fund of Georgia.

Mr. Giga Lortkipanidze has a spouse – Ketevan Kiknadze, well known actress, Public Actress of Georgia – three children and four grandchildren.



მომღერალი,
მსახიობი,
კომპოზიტორი...



თამარ გვერდწითელი, მომღერალი, მსახიობი, კომპოზიტორი. საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი. დაამთავრა თბილისის კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური სკოლა, იყო ბავშთა საესტრადო ანსამბლ მზიურის სოლისტი, რომელთან ერთადაც მთელი საბჭოეთი შემოიარა გასტროლებით. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა თბილისის კონსერვატორიაში, ფორტეპიანოსა და კომპოზიციის კლასი და ვიკალისთვის განკუთვნილი სპეციალური კოლეჯი დაამთავრა.

19 წლისამ სოჭში გამართულ საერთაშორისო კონკურს „წითელ მისაკში“ გაიმარჯვა. 1988 წელს სოფიაში გამართულ კონკურს „ოქროს ორფეოსზე“ მიიღო მონაწილეობა და პირველობა არავის დაუთმო. გამოდიოდა სანრემოსა და სოპოტის ფესტივალებზე.

1991 წელს თამარ გვერდწითელი ფრანგმა აგენტმა პარიზში მიიწვია, სადაც მიშელ ლეგრანი და ჟან დრეჟაკი გაიცნო. სწორედ იმხანად დაიღო მისი პირველი კონტრაქტი ლეგრანთან და პარიზის „ოლიმპიაში“ მისი პირველი კონცერტიც გაიმართა. ლეგრანმა, გვერდწითელის სამიათასიანი ღირებულების წარდგენისას, განაცხადა: „პარიზო, დაიხსოვებ ეს სახელი“ და თამარმაც დაიპყრო პარიზი.

გვერდწითელი მსოფლიოს რვა ენაზე: ქართულ, რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, ინგლისურ და ძველბერძნულ ენებზე მღერის.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ჩემი პოპულარობა დღითი დღე იზრდებოდა, თაყვანის მცემლების რიცხვიც დღითი დღე იზრდებოდა, მაგრამ ჩემს გულს არავინ ეკარებოდა. ერთხელ ტელესპექტაკლზე როლი შემომთავაზეს, რეჟისორ გიორგი კახაბრიშვილთან გასაცნობად მივედი. პირველი ნახვისთანავე მივხვდი, რომ ჩვენს შორის რაღაც დაიწყო, მაგნიტივით მიმიზიდა, თუმცა არ შევიძინე. გადაღების შემდეგ მან ფინჯან ყავაზე დამპატიჟა. გიორგი გაცილებით უფროსი იყო, პროფესიონალი, საკუთარ თავში დარწმუნებული.

ჩემი პირველი სიყვარულის მწარე გამოცდილება უკვე ვიწვინე, ამიტომ დედა მემუდარებოდა, რომ ნაუცბათევე გადაწყვეტილებას ნუ მივიღებდი, მაგრამ ჩვენი ქორწილი მაინც შედგა. მე ასაკის შესაბამისად ვიქცეოდი, იმპულსურად, ზოგჯერ არაბრძნულადაც. სუთასკაციან ქორწილში პრეზიდენტი -ედუარდ შევარდნაძე მარგარეტ ტეტჩერთან ერთად მოვიდა. ქორწინებიდან ორი წლის თავზე სანდრო დაიბადა. სანდრომ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა, სულ მასთან ყოფნა და დროის გატარება მინდოდა. თუმცა სცენისთვის თავის დანებებაზე არც მიფიქრია. მშობიარობიდან ექვს თვეში გასტროლებზე წავედი, ხოლო როდესაც სანდრო ერთი წლის გახდა ისიც თან წავიყვანე. არ შემეძლო დამეშვა, რომ ბავშვი ჩემს მოლოდინში ფანჯარასთან მდგარიყო და თვალცრემლიანი დამლოდებოდა. გიორგი არ მაღავდა, რომ არც ჩემი ცხოვრების წესი მოსწონდა და არც ბავშვის აღზრდისადმი ჩემი მიდგომა. არ ვიცოდი როგორ მოექცეულიყავი, რატომღაც მწამდა, რომ ქმარი ყველაფერში მხარს უდა მიჭერდეს. 1991 წელს საფრანგეთში მიმიწვიეს და ვიზა მარტო მე მომიცეს...

ახლა ჩემს ცხოვრებაში ერთი მამაკაცია, -სანდრო. საყვარელი და ერთადერთი შვილი. ის ლონდონის უნივერსიტეტში სწავლობს პროდიუსერისა და დრამატული თეატრის რეჟისორის სპეციალობაზე. როდესაც ჩემს მჭიდრო საგასტროლო გრაფიკში ფანჯარა ჩნდება, მაშინვე მასთან მივემგზავრები. კინოში, მუზეუმებში დავდივართ. მასთან ურთიერთობისას სამყაროს მისი თვალეებით ვხედავ და განვლილი წლები მავიწყდება... ჩემი ცხოვრება ისეთია, როგორსაც მივეჩვიე. რეპეტიციები, კონცერტები, გასტროლები. უწინდებურად მიყვარს ოჯახური ვახშმები მეგობრებისა და დედის კომპანიაში ყოფნა. სანდრო ყოველ ზაფხულს ჩამოდის რუსეთში და ყველანი ერთად მივფრინავთ თბილისში... ახლა უბრალოდ, მინდა ვცხოვრობდე, ახლობლებზე ვზრუნავდე და თქვენთვის ვმღეროდე. მერე კი ვნახოთ





Tamar Gverdtsiteli – singer, actress, composer, National Artist of Georgia and Russia. She graduated from Music School under Tbilisi Conservatorium, was soloist of the Children’s Pop Ensemble “Mziuri”, with which she went on tour around Soviet Union. After finishing school she entered piano and composition class of Tbilisi Conservatorium and finished special college for vocal.

She won at the competition “Red Clove” in Sochi when she was 19 years old. In 1988 she participated in the competition “Golden Orpheus” in Sofia and occupied first place. She sang at Sanremo and Sopot.

In 1991 French agent invited Tamar Gverdtsiteli to Paris, where she met Michel Legrand and Jean Drejak. This is when her first contract with Legrand was executed and her first concert was held in Paris “Olimpia”. While introducing Gverdtsiteli to the audience of three thousand people, Legrand declared: “Paris, remember this name” and Tamar attracted Paris.

Gverdtsiteli sings in eight languages of

the world: in Georgian, Russian, Ukrainian, French, Italian, Spanish, English and ancient Greek languages.

My popularity was being increasing day by day after graduation of the conservatorium, as well as the number of my admirers, but nobody was close to my heart. One day they offered a role at TV-play. I came to the Director Giorgi Kakhabrishvili to make acquaintance. I felt at our first meeting that something has started between us. He attracted me like a magnet, but I didn’t show it up. After filming, he invited me to the cup of coffee. Giorgi was much elder, a professional, and self-confident.

I had had bitter experience from the first love; that is why my mother was begging me not to make rapid decisions, though our marriage took place. I behaved like a person of my age, impulsively, sometimes unwise. The President Eduard Shevardnadze came to our wedding with Margaret Thatcher. Sandro was born in two years. He changed my life completely. I wanted to be and to spend time with him, though I didn’t think of leaving the stage. I made a tour in six months after the childbirth, and when Sandro was one, I took him with me. I couldn’t stand my child standing by the window and waiting for me with his eyes full of tears. Giorgi didn’t hide that he didn’t like my life style and my method of raising the child. I didn’t know what to do, though I believed that my husband was to support me in everything. I was invited to France in 1991, and they gave visa only to me...

The only man in my life today is Sandro – my beloved and only child. He learns at London University, being specialized as a producer and drama theatre director. As soon as there is a free time between my tours, I come up to him. We visit movies and museums. I observe the world with his eyes when I am with him, and I forget past years... My life is what I am accustomed to. Repetitions, concerts, tours... I love family dinners and spending time with my friends and my mother in the same way as before.

Sandro arrives to Russia every summer and we fly to Tbilisi together... I just want to live, to care for the close people and sing for you. We’ll see what happens...

singer,
actress,
composer



Եղևբույրդեմ Եկկորոն զԻնս



„ქანდაკების, ფერწერის ყოველი ნაწარმოები უნდა გამოხატავდეს ცხოვრების რომელსამე წესს, უნდა გვასწავლიდეს რამეს, სხვაგვარად ის მკედარია“.

მერაბ ბერძენიშვილი - მოქანდაკე, დაიბადა თბილისში 1929 წლის 10 ივნისს. ბავშვობა ბათუმში გაატარა, რომელიც მის მეხსიერებაში საოცნებო ქალაქად აღიბეჭდა. საფეხბურთო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შედის თბილისის სამხატვრო აკადემიაში და სწავლობს პროფესორ ნ. კანდელაკის კლასში. აკადემიის დამთავრებისთანავე იწყება მისი ინტენსიური მონაწილეობა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. 1959 წლის აგვისტოში მონაწილეობს მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალში – ვენაში, სადაც საპატიო სიგელი მიიღო. სამოციან წლებში ირჩევენ საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ. ამ პერიოდის ჩართულია საზოგადოებრივ საქმიანობაში, მონაწილეობს მრავალ სხვადასხვა ხასიათის კონკურსებში, მისი ძეგლების უმრავლესობა ამ კონკურსებში მოპოვებული გამარჯვების შედეგადაა განხორციელებული.

მერაბ ბერძენიშვილი არის რუსთაველისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ყოფილი სსრკ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა და რუსეთის სამხატვრო აკადემიების წევრ – კორესპონდენტი. იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. დაჯილდოებულია საერთაშორისო მედლებით, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატის – ფრიდტიოფ ნანსენის სახელობის საერთაშორისო მედლით.

„ეს პრესტიჟული პრემია თქვენ გენიჭებათ მსოფლიო კულტურის საგანძურში შეტანილი დიდი წვლილისათვის, ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის, ჭეშმარიტი ჰუმანისტური და ზოგად საკაცობრიო პრინციპების ერთგულებისათვის, ინტელიგენციის დახმარებისა და მხარდაჭერისთვის“, – ასეთი ფრაზები იკითხება თბილისში გამოგზავნილ წერილში.

მონუმენტური ქანდაკების სფეროში განსაკუთრებული მიღწევების აღიარების დასტურად ბატონი მერაბი დაჯილდოებულია ღირსების დიპლომით და ვერცხლის მედლით. მერაბ ბერძენიშვილის გვარი შეტანილია ინგლისის კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის ცნობარებში “XXI საუკუნის ჯილდო მიღწევებისათვის”, „საბჭოთა სკულპტურა“ და ენციკლოპედიაში – „საქართველო“.

მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო გერმანიაში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში, ჩეხეთში, პოლონეთში, ბულგარეთში. უცხოეთის მრავალ ქალაქში დგას მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი ძეგლები.

იგი არის საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, არჩეულია თბილისის საპატიო მოქალაქედ.

...საკუთარ თავთან შეხვედრა საშუალებაა ამ წუთისოფლის ჭვრეტისა. ამაში ჩემი ქმნილებები მენმარებიან, – ამბობს ბატონი მერაბი, – როცა სიმშვიდე და ფიქრი მსურს, დავით გურამიშვილის ძეგლს ვეახლები, ხოლო შემართებისთვის – გიორგი სააკაძეს გაუუვლი. როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, როგორც კი ახალი იდეა დაიბადება, ვიწყებ მუშაობას და ყოველივე ქრება.

ტივილი – ჩემი ბედშავი სამშობლოს დაცემა, გადაგვარებაა, ეს იყო ჭეშმარიტი ქართული, ამაღლებული სულიერების იერსახის შეცვლა.

საყვარელი მწერალი: კონსტანტინე გამსახურდია, ჭაბუა ამირეჯიბი, მიგელ დე სერვანტესი.



DOING GOOD MAKES ME HAPPY...

“Every sculpture, painting must express some rule of the life, it must teach something; otherwise it is dead”.

Merab Berdzenishvili – a sculptor, was born in Tbilisi on June 10, 1929. He passed his childhood in Batumi, which was reflected in his mind as a “Dream Town”. After finishing Football School he entered Tbilisi Academy of Art and learns at N. Kandelaki Class. After graduation he participated intensively

at republic and all-union exhibitions. In August 1959 he participated at Vena Festival of the World Youth, where he received Diploma of Honor. In the 60s he was elected for the deputy chairman of the Artist’s Union of Georgia. Since this period he was involved into the social activities. He participated in the competitions of different kinds; most of his sculptures were realized after winning those competitions.

Merab Berdzenishvili is the Laureate of State Premiums of Rustaveli and Georgia, Laureate of State Premium of former USSR and Public Artist of Georgia, corresponding member of the Academy of Science of Georgia and the Academy of Art of Russia. A member of the Supreme Board of the USSR three times, Professor of the Academy of Art of Georgia. He was awarded with international medals, and international medal of Fridtjof Nansen – Laureate of Nobel Peace Prize.

“This prestigious Prize is awarded to you for great bit made by you to the cultural treasures of the world, wide social activities, devotion to the principles of true humanism, support of the intelligentsia”, - this is what we read in the letters sent to Tbilisi.

In confirmation to the recognition of special achievements in the field of monumental sculptures Mr. Merab is awarded with the Diploma of Honor and Silver Medal. Name of Berdzenishvili is included in the References of Biographic Center of Cambridge (England) “Achievements of the XXI century”, “State Sculpture” and Encyclopedia “Georgia”.

His works were exhibited in Germany, France, Yugoslavia, Czech Republic, Poland and Bulgaria. Sculptures created by Merab Berdzenishvili are met in many cities of the world.

He is the chairman of the Fund of Culture of Georgia. He was elected for the Honorable Citizen of Tbilisi.

...Meeting with oneself is the means for seeing the life. My creations help me in it, - says Mr. Merab, - when I want to have peace of mind and to think, I visit Davit Guramishvili’s monument; to have strength I pass by Giorgi Saakadze. When I have new idea, I get down to work and tiredness disappears.

My pain is fall, degradation of my homeland. It was changing the face of everything true Georgian, of high spirituality,

Favorite writer: Constantine Gamsakhurdia, Chabua Amirejibi, Miguel de Cervantes.





...ჯამბოჯის
არასოდეს მიძღვრის

ცნობილი მომღერლების – მიქელაძეების შთამომავალთა ოჯახში 1936 წლის 21 ივლისს დაიბადა ქართული ესტრადის ვარსკვლავი, საუკუნის მომღერალი, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე - ნანი ბრეგვაძე.

.. თითქოს სიმღერით დაიბადაო, -ყოველთვის მღეროდა,... საბავშვო ბაღში, სკოლაში, მუსიკალურ ტექნიკუმში, მეგობართა წრეში... თურმე გამოღებულ ფანჯარასთან გროვდებოდნენ ქუჩაში მოსიარულენი და ნანის სიმღერას ტაშს უკრავდნენ.

-ძალიან გვიან გავაცნობიერე, რომ სიმღერა იყო ჩემი არსებობის მიზანი. პიანისტობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ცხოვრება სხვაგვარად აეწყო. ბოლოს მივხვდი, რომ ნანი ბრეგვაძე როგორც მომღერალი და ადამიანი ნამდვილად სჭირდებოდა საზოგადოებას.

...დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 1956 წელს მიიწვიეს „გეპეის“ თვითშემოქმედებით ორკესტრში და მოსკოვის VII მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი გახდა. მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფო ორკესტრ „რეროში“ მღერის. კვლავ მოსკოვი, მიუზიკჰოლში წარმატებები. 1964 წელს თბილისში დაბრუნებული, „ორერას“ თხოვნით ანსამბლის სოლისტია. თვლის, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა, როგორც მომღერალი.

ტაშისთვის არასოდეს მიმღერია, მსიამოვნებდა და ვმღეროდი. ყოველთვის ვუფრთხილდები ჩემს მსმენელს: ველოლიავები, ვეფერები,... არ მინდა დავღალო ჩემი სიმღერით და არც ჩემი არსებობით. ქართველ მსმენელს ვერაფრით მოატყუებ!..

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არანაირი პოლიტიკა არ არსებობს, ყველა თავის თავზე ფიქრობს – ერთეულების გამოკლებით. თუ პატიოსანი დამოკიდებულება არ ექნებათ სახელმწიფოს მიმართ, არაფერი გამოვა. ყელაფრის მიუხედავად, მირჩევნია ვიყო ჩემს სამშობლოში.

..საკუთარ თავთან მარტო დარჩენილს ნაკლი უფრო ახსენდება, ვიდრე დადებითი. ცდილობს, შეცდომები ნაკლებად დაუშვას. არ უყვარს დღიურების წერა, თუმცა მოსაგონარი უამრავი აქვს. სიმღერით მოიარა ხუთი კონტინენტი.

ჩემი მეგობარი ზურაბ იაშვილი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს წერდა, ვეხუმრებოდი, შენ წერე და მერე მე გადავიწერ მეთქი. ახლა, ჩემი მუდმივი აკომპანიატორი – მედიკო გონგლიაშვილი წერს და მე ისევ გადაწერით „ვიმუქრები“. საოცრად ინერტული და უმოქმედო ვარ. მუდამ ვიღაც მედგა გვერდით, გამოდის, რომ თითქმის ყველა მდირიჟორობს”.

ჰყავს ქალიშვილი – ეკა მამალაძე, მომღერალი; სამი შვილიშვილი, რომლებზეც ლეგენდარული ბებია დიდ იმედებს ამყარებს.

In the family of famous singers – the Mikeladzes on July 21, 1936 was born Nani Bregvadze, star of Georgian estrade, singer of the century, Laureate of State and Rustaveli Premiums, Honorable Citizen of Tbilisi.

“She seems to be born with song, she was singing all the time... at the kindergarten, school, musical technical school, among friends... They say, people were gathering under the open window, when Nani was singing and applause to her”.

I understood that music was main purpose of my existence very late. I dreamt for being a piano player, though life went to other direction. I recognized finally that the society needed Nani Bregvadze as a singer and an individual.

... She graduated from Tbilisi State Conservatoire. In 1956 she was invited to the orchestra of Polytechnic Institute of Georgia and she became a Laureate of Moscow 7th World Festival. Later she sang at the state orchestra “Rero”. Moscow again... Success at the Music Hall... In 1964 she returned to Tbilisi and became a soloist of “Orera”. To her mind this was the period of her being established as a singer.

I never sing for applauses, I was pleased and I sang. I took care of my listener: tendered them... I do not want to make them bored with my song and my existence. Nobody can lie to Georgian listener!..

Unfortunately, there is no policy in our country, everybody thinks of their own selves – except single persons. We must treat the country with honesty. Besides everything, I prefer to live in my homeland.

She remembers her faults better, than positives when being alone. She does her best not to make mistakes. She doesn't like to keep diaries, though she has much to remember. He visited the five continents singing.


My friend – Zurab Iashvili was writing down his impressions; I was joking on him, ‘you write everything and I will copy it later’. Today my permanent accompanist – Mediko Gongliashvili is writing and I'm joking on her in the same way. I am extremely inert and inactive. I had somebody by my side all the time like a bandmaster”.

She has a daughters – Eka Mamaladze, a singer; three grand children who are trusted by the legendary grandmother.



*I NEVER SING FOR
APPLAUSES...*

მიძღვრებათა ორი სიცოცხლო სწორება



ნოდარ ანდლულაძე - საქართველოს სახალხო არტისტი, დავით ანდლულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდის თავმჯდომარე, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

დაიბადა 1927 წლის 13 დეკემბერს. 1945 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიური ენათმეცნიერების სპეციალობაზე. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წლიდან არის

კავკასიურ ენათა კათედრის უფროსი მასწავლებელი და მდივანი.

1956 წელს შედგა მისი დებიუტი ოპერა „კარმენში“, თუმცა მანამდე წარმატებით მღეროდა უნივერსიტეტის თვითმოქმედ ანსამბლში. 1958 წელს მონაწილეობა მიიღო ქართული ხელოვნების დეკადაში. შემდეგ, 1961-62 წლებში მილანის თეატრ „ლასკალას“ სტაჟიორია, 1968-69 წლებში ბერლინის „კომიშე ოპერის“ სოლისტი. 1959 წლიდან 1991 წლამდე ინტენსიურად მოგზაურობს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნებში.

1968 წლიდან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგია, 1981 წლიდან პროფესორი, 1974 წლიდან სოლო სიმღერის კათედრის გამგე. ანდლულაძე ავტორია მეცნიერული გამოკვლევებისა, ვოკალური ხელოვნების თეორიის, ისტორიისა და მეთოდის დარგში.

მამა - დავით ანდლულაძე დიდი ქართველი ტენორი და სახელგანთქმული ვოკალის პედაგოგი იყო. დედა – ბარბარე მამამთავრიშვილი, სოპრანო, თავისი დროის საუკეთესო შემსრულებელი. ნოდარ ანდლულაძის ბავშვობამ მაშინდელი თბილისის მუსიკალურ და მხატვრულ გარემოში განვლო.

აი რას იგონებს ბატონი ნოდარი. „...მასსოვს ოთხი წლის ასაკში დედამ თეატრში მიმიყვანა, სადაც დედა „ჰოფმენის ზღაპრებში“ ანტონიოს როლს თამაშობდა. დედის პერსონაჟი სპექტაკლის ბოლოს კედება, ამიტომ ავტყხე ხმამაღალი ტირილი და თეატრიდანაც სასწრაფოდ გამიყვანეს. მოგვიანებით მამა მოსკოვში, დიდ თეატრში მიიწვიეს და ჩვენც გადავედით. მამა სპექტაკლ „ჰუგონეტებში“ მთავარ პარტიას – რაულს თამაშობდა. (მამაჩემის წამოსვლის შემდეგ ეს როლი ვერავინ შეასრულა, ამიტომ სპექტაკლი აღარასოდეს დადგმულა) ...მასსოვს, მამა ცხენით როგორ შემოიჭრებოდა ხოლმე სცენაზე, იმ დროს მე და დედა დირექტორის ლოჯაში ვისხედით.

ბათუ კვირველია იუმორით ამბობდა: საბჭოთა კავშირში არის სამი კლასი, მუშათა, გლეხთა და ანდლულაძის კლასიო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი ერი ბრძენია, სიბრძნით, ნიჭით და ღირსებით გამორჩეული. ქართველებში თუ რამე უკვდავია, ესაა მრავალმხრივი სიბრძნე სოფლის მეურნეობასთან.

...რომის ვოკალური სკოლის დამაარსებელი ანტონიო კოტონი ამბობდა. ორი სიცოცხლეა საჭირო მომღერლისათვის, ერთი, ისწავლოს სიმღერა და მეორე, რომ ასწავლოს სიმღერა და სცენაზე გამოსვლა. როგორც ამბობენ მუსიკას ენა არ აქვს და მან კაცობრიობა უნდა გადაარჩინოს. მინდა აღვნიშნო, რომ შესანიშნავი თაობა მოდის. მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა ვცდილობ პედაგოგიური მოღვაწეობა გავაგრძელო.

...The singer needs two lives

Nodar Andghuladze – Public Actor of Georgia, Chairman of Georgian Vocal Cultural Fund named after Davit Andghuladze, Academician of the Academy of Pedagogic Sciences of Georgia, Laureate of State Premium, Cavalier of Medal of Honor.

Was born on December 13, 1927. After finishing school in 1945 he was enrolled to Tbilisi State University specialized in Caucasian Linguistics. In 1954 he defended a dissertation of a doctoral candidate. He became senior teacher and a secretary of the cathedra of Caucasian languages.

In 1956 his debut in the opera “Carmen” took place, though he had sung in the amateur ensemble of the University. In 1958 he participated in the decade of Georgian Art. Later, in 1961-62 he became a probationer at the theatre “La scala”, Milan. In 1968-69 he was a soloist at Berlin “Komische Oper”. From 1959 till 1991 he had tours in the countries of Soviet Union and abroad.

Since 1968 he was a teacher at Tbilisi State Conservatoire, professor – since 1981, Head of the department of a soloist – since 1974. Andghuladze is an author of scientific researches, in the fields of the theory, history and methodology of vocal.

Father – Davir Andghuladze – was a great Georgian tenor and famous vocal teacher. His mother – Barbare Mamamtavrishvili was the best soprano of her time. Nodar Andghuladze’s childhood passed in musical and artistic surrounding of that time.

This is what Mr. Norad remembers: „ I remember my mother brought me to the theatre when I was 4 years old. She played the role of Antonio in “Hoffmann tales”. Character, played by my mother died at the end of the spectacle. I burst into tears and cried loudly. They took me out of the theatre rapidly. Later my father was invited to Moscow Bolshoy Theatre and we moved there. He played main role of Raul in “Huguenots” (Nobody could play the role after leaving of my father. That is why the Play was never staged again). ...I remember him riding a horse to the stage. That time my mother and I were watching at him from the Director’s loge.

Batu Kvirvelia used to joke: there are three classes in the Soviet Union – working class, peasants’ class and of the Andghuladzes. I can say that Georgian nation is wise, differing in wisdom, talent and honor. Agricultural wisdom is immortal among Georgians.

...Antonio Cotton, founder of Rome vocal school, used to say: the singer needs two lives, one for learning singing, and another – to teach singing and sing on the stage. They say, music has no tongue and it must save the mankind. I’d like to say that here comes excellent generation. I try to continue teaching notwithstanding my poor health conditions.



ქადრაპის დედოფალი



ნონა გაფრინდაშვილი – სპორტის დამსახურებული მოღვაწე; მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში, მსოფლიოს ხუთგზის პირველი ქართველი ტრიუმფატორი. საჭადრაკო ოლიმპიადების თერტმეტგზის დამლაშქრავი მთელ პლანეტაზე; ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის და საჭადრაკო „ოსკარის“ პირველი მფლობელი, მსოფლიოში პირველი საერთაშორისო დიდოსტატი ქალებში, ასევე პირველი ქალი, ვინც საერთაშორისო დიდოსტატობა ვაჟებში მოიპოვა; მსოფლიო ჩემპიონი



ვეტერანებში; საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი, 1996 წიდან მისი საპატიო პრეზიდენტი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პირველი ქალი პრეზიდენტი.

დაიბადა ზუგდიდში 1941 წლის 3 მაისს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი ინგლისური ენის სპეციალობით. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „ჩემი ცხოვრების არსი“, „რჩეული პარტიები“. მიღებული აქვს საპატიო ნიშნის ორდენები, მედალი შრომით წარმატებისთვის, ღირსების ორდენი, ვახტანგ გორგასლის II და I ხარისხის ორდენები, ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა და მსოფლიო ეოკთა ასოციაციის საპატიო ორდენები, ეოკის უმაღლესი ჯილდო - „ოლიმპიური ორდენი“

ნონა გაფრინდაშვილმა ჭადრაკს მთელი ცხოვრება შესწირა. მოჭადრაკეთა ენაზე რომ ვთქვათ, ორიგინალური სვლა გააკეთა და სეოკის შვიდწლიანი პრეზიდენტობის მერე თავის სავარძელზე უარი თქვა, ყველა სახტად დატოვა, ეს იშვიათი შემთხვევაა, რამეთუ ასეთ თანამდებობაზე უარს არავინ ამბობს, მაგრამ ფაქტია. ჰყავს შვილი და შვილიშვილი.

...იქ, სადაც არის პაექრობა, სადაც არის მსაჯი, არის გამარჯვებული და დამარცხებული, არის მედლები და თასები, იქ არის სპორტი. – ამბობს ქალბატონი

ნონა, - თუ სპორტია მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ცეკვები და მისთანანი, სადაც სპორტისა და ხელოვნების სინთეზია, ხელოვნებასთან შერწყმულმა ჭადრაკმა რაღა დააშავა?

ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ჭადრაკს ალბათ „მწვანე“ ოლიმპიადაზე მიუჩინდი ადგილს, რადგან სითბო მოჭადრაკეებსაც სჭირდებათ. მჯერა, ადრე თუ გვიან, ასეც მოხდება.

...მინდა იცოდეთ, რომ ეს ჯილდოები ჩემთვის ძალზე ძვირფასია, - ამბობს ქალბატონი ნონა, - მე ბევრი მედალი და თასი მომიპოვებია უშუალოდ სპორტულ პაექრობებში, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური ორგანიზაციების ეს ჯილდოები ჩრდილში სულაც არ მოექცევა. პირიქით, გამორჩეულ ადგილს მიუჩინ. ისიც მინდა იცოდეთ, რომ სამივე ჯილდო მოულოდნელი იყო, რადგან არის ხალხი, ვინც მრავალი წელია ოლიმპიურ მოძრაობაშია ჩაბმული, მაგრამ სეოკის უმაღლესი ჯილდო ცოტას თუ ღირსებია.

ნათქვამია, წინმავალი კაცი უკანას ხიდიაო. წორედ ასეთი წინმავალი ადამიანია ნონა გაფრინდაშვილი, რომელმაც მომავალი თაობებისთვის მტკიცე ხიდი გადო. ამ ხიდმა არაერთი და ორი აიყვანა ოლიმპოზე, კიდევ ბევრი ავლენ, მაგრამ ისინი ათგზის ჩემპიონებიც რომ გახდნენ, ნონა გაფრინდაშვილი მაინც პირველი იქნება, მას ვეღარავინ შეცვლის.



Nona Gaprindashvili – Honored Worker of Sport; World Champion in Chess, first Georgian triumphant for five times; eleven times leader of Chess Olympiads all over the world; two times owner of European Champion Cup and the first owner of chess “Oscar”, First International Master in the World among women, the first woman to gain international master’s title among men; World Champion among veterans; the first president of National Olympic Committee of

Georgia, its honorable president since 1996; the first female president of Chess Federation of Georgia.

She was born on May 3, 1941. Graduated from Tbilisi State Institute of Foreign Languages specialized in English Language. She published book: “Essence of my life”, “Featured Parties”. She has received orders with honorable signs, Medal for Working Success, Medal of Honor, Vakhtang Gorgasali orders of the 2nd and the 1st degrees, honorable orders of Olympic Committee of Europe and Association of the World National Olympic Committees, Supreme Prize of National Olympic Committees – “Olympic Order”.

Pursuant to the survey of Association of Journalists of Georgia she was considered to be the best sportswoman of Georgia of 20th century. Today she is honorable president of National Olympic Committees.

Nona Gaprindashvili dedicated whole her life to Chess. Saying in the terminology of the chess players “she made original move” and refused her position of a president after seven years, she made everybody surprised. Such happens seldom, as nobody refuse position, though this is the fact. She has a son and grandchild.

...there are medals and prizes, on the place of competitions, where there are referees, winners and losers... there is sport – says Mrs. Nona, - gymnastics is sport, as well as sport dances and others, where there is the synthesis of sport and art, what about chess – merged with art?

If it depends on me, I would place chess to “Green” Olympiad, as the chess-players need warmth too. I believe this will happen one day.


Mrs. Nona is the first in everything and everywhere. She recommended her successor of the position of the President.

... I want you to know that these prizes are the most precious to me, - says Mrs. Nona, - I have won lots of medals and prizes by participation in sport competition, though these rewards of International Olympic Organization will not be forgotten. On the contrary, I shall place them to featured position. I want you to know that all three rewards were not expected by me, as there are people involved in the Olympic movement for years, by they had no honor of receiving such prize.

They say, “a walking man is the bridge to the follower”. Nona Gaprindashvili is such person, who built firm bridge to following generations. Many of them reached the Olympus; many will do so, though Nona Gaprindashvili will be “the First” always, nobody will be able to replace her.

CHESS QUEEN





Իր ճշմարտության համար
Եղևարդարացու շնորհակալությամբ



„პაატა ბურჭულაძე ბუმბერაზია, უსმენ და ტანში
ქრუანტელი გივლის. მისი ჯუბთი მომდერალი
დღევანდელ მსოფლიოში არ გვეგულება.

(*ფრანგული პრესა, 1988*)



პაატა ბურჭულაძე -მომდერალი, სახალხო
არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
პროფესორი. დაიბადა თბილისში 1955 წლის
12 თებერვალს. დაამთავრა პოლიტექნიკური
ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, თბილისის
კონსერვატორიის ვოკალური განყოფილება. იყო
„ლა-სკალას“ სტაჟიორი. მისი დებიუტი შედგა
თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.
მეფისტოფელი გუნოს „ფაუსტი“. მღეროდა
ლონდონის „კოვენტ-გარდენის“, ჰამბურგის
საოპერო, მიუნხენის, მილანის „ლა-სკალას“,
ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერის, „არენა
დივერონას“, ვენის შტადსოპერის, ზალცბურგის,
ნიუ-იორკის, ისრაელის, შტუტგარტის, ბარსელონას,
ლოზანას სანფრანცისკოს, ფილადელფიის აგრეთვე,
ბათუმისა და ქუთაისის საოპერო თეატრების
სცენებზე. ასრულებდა პარტიებს ოპერებში: დონ-
ჟუანი, „აიდა“, „ბორის გოდუნოვი“, „სოფაშნიცა“,
„ქეთო და კოტე“, „ბედის ძალა“, „ნაკუკო“, „ლომბარდიელები“, „მაკბეტი“, „დონ-კარლოსი“,
„ატილა“, „ცეცხლოვანი ანგელოზი“, „თავადი იგორი“, „მთვარის მოტაცება“ და ა. შ. არის
ბუსეტოს „ვერდის ხმების“ (1981), ჩაიკოვსკის (1982), მარია კალასის, ლუჩანო პავაროტის
კონკურსების ლაურეატი, გოგებაშვილის, ფალიაშვილისა და რუსთაველის პრემიების
ლაურეატი. „ღირსების“ ორდენის კავალერი, ავსტრიის, გერმანიის და შვეიცარიის
„კამერზინგერი“, ფილადელფიის, ათენის, ქუთაისის, წალკის, ოდესის, თბილისის საპატიო
მოქალაქე. 1997 წელს სანკტ-პეტერბურგში რუსეთის პატრიარქმა ალექსანდრე II მიანიჭა
თავადის ტიტული.

ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, არის საქველმოქმედო ფონდის „იაფანას“ პრეზიდენტი.

-პროფესიით მშენებელი ვარ. მინდოდა, მამის კვალს გავეყოლოდი, მაგრამ... ჩემს პიროვნულ
ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ჩემს მშობლებს, განსაკუთრებით დედას მიუძღვის. მისი
დაუინებელი თხოვნით, ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტმა, თბილისში, ოპერისა და
ბალეტის თეატრში მეფისტოფელის პარტია შევასრულე „ფაუსტში“. აღფრტოვანებული
მაყურებელი ტაშს მიკრავდა. აპლოდისმენტები მახარებდა და მივხვდი, ჩემი ადგილი
სცენაზე იყო.

როცა უსმენ ზურაბ ანჯაფარიძის ხმას, იცი, რომ ის უცვლელია. მეც მინდა, საოპერო
ხელოვნებაში კვალი დავტოვო...

იმის აღნიშვნა, რომ დღეს საქართველოს უჭირს, -არახალია. სამშობლოს
კეთილდღეობისათვის თითოეულმა ადამიანმა რაღაც უნდა გააკეთოს. ყველამ თავდადებული
შრომით უნდა მიაღწიოს სრულფასოვნებას. იმის გაფიქრებაც კი, თითქოს უცხოეთში
ბევრი ფული იოლად კეთდება - აბსურდია, რადგან ყველგან შრომაა საჭირო. საქართველო
ხვთისმშობლის წილხვედრია, ამიტომაცაა, რომ ასეთმა პატარა ქვეყანამ უცხო ტომთა არაერთ
შემოსევა-დარბევას და უამრავ კატაკლიზმებს გაუძლო. სწორედ ეს მაძლევს იმის თქმის
უფლებას, რომ უფაღს უყვარს ქართველი ერი. ერი, რომელსაც გადაშენება არ უწერია.

ქართველი კაცის სუფრა არაჩვეულებრივია - მასპინძლობა განსაკუთრებული. მოლხენა
და სიმღერა - ზებუნებრივი. ქართველი ყურნალისტები ხშირად მეკითხებიან: როდის
ბრუნდები საქართველოშიო, განა როდისმე წავსულვარ საქართველოდან?! ჩემი სახლიც
და ნავსაყუდელიც ჩემი თბილისია. მე მხოლოდ გასტროლებზე დავდივარ საქართველოს
სახელით.

“Paata Burchuladze is a the greatest person; you listen to him and it makes your flesh creep. There is no singer like him in the modern world.”

(French media, 1988)



Paata Burchuladze – a singer, public artist, Laureate of Rustaveli Premium, Professor of Tbilisi State Conservatoire. He was born in Tbilisi on February 12, 1955; graduated building faculty of Polytechnic Institute and vocal department of Tbilisi Conservatoire. He was probationer at “La Scala”. He debuted at Tbilisi Theatre of Opera and Ballet as Mephistopheles at Gounod’s “Faust”. He sang at London “Covent-garden”, on the stages of Hamburg Opera, Munich, Milan “La Scala”, New-York Metropolitan Opera, “Arena di Verona”, Vein Staatsoper, Salzburg, New-York, Israel, Stuttgart, Barcelona, Lausanne, San-Francisco, Philadelphia, as well as Batumi and Kutaisi Opera theatres. He played parties in: “Don-Juan”, “Aida”, “Lombardians”, “Macbeth”, “Don-Carlos”, “Attila”, “Fiery Angel”, “Prince Igor”, “Stealing the Mood” and many others. He is the Laureate of “Verdi sounds” of Busseto (1981), competitions of Tchaikovsky (1982), Maria Callas and Luciano Pavarotti, Cavalier of the Medal of Honor, Kammersänger of Austria,

Germany and Switzerland; Honorable Citizen of Philadelphia, Athens, Kutaisi, Tsalka, Odessa and Tbilisi. In 1997 he was granted the title of a Prince (Knyaz) by the Patriarch of Russia Alexander II in St. Petersburg.

He is involved in charity events; he is the President of Charitable Foundation “Iavnana” (Lullaby).

- I am a builder by profession. I wanted to follow my father’s way, but... Special bid in formation of my person is made by my parents, especially my mother. At her strong request, I played the role of Mephistopheles in “Faust” at Tbilisi Theatre of Opera and Ballet when being a student of the Conservatoire. Delighted audience was applauded to me. This was making me happy and I made up my mind that the stage was “my place”.

When listening to Zurab Anjaparidze’s voice, you know him to be unchangeable. I want to leave an imprint on opera...

The fact that Georgia is in distress is not new. Each person must do something for welfare of Georgia. Everybody must reach perfection by devoted work. The idea that it is easy to make money abroad is an absurd, as it needs much work. Georgia is belonging of St. Mary that is why such a small country was able to stand invasions of foreign tribes and huge cataclysms. This fact gives me the right to say that God loves Georgian people, the Nation will never vanish.

Feast of a Georgian man is wonderful, hospitality – special, celebration and songs – supernatural. Georgian journalists often ask me about my returning to Georgia. Have I ever left Georgia?! Tbilisi is my home and my harbor. I just go on tours on behalf of Georgia.

PAATA
Burchuladze



PAVEL KAŠPAR / HOST

Janáčková filharmonie Ostrava
Rostislav Štúr / Dirigent

Dům kultury Město Ostravy
2. října 2009 / 20:00 h

*Tbilisi is my home
 and my hažbož...*



ქართული კინოს დოკუმენტი



თენგიზ არჩვაძე – საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა 1932 წლის 3 აგვისტოს, თბილისში. 1955 წელს დაამთავრა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1954 წლიდან იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, 1960 წლიდან კინოსტუდია "ქართული ფილმის" მსახიობი. არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მიღებული აქვს სახელმწიფო პრემია, დაჯილდოებულია საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით. არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

არჩვაძის ეკრანული სახეები გამოირჩევიან მხატვრული დამაჯერებლობით, მდიდარი შინაგანი სამყაროთი, დაძაბული სულიერი ცხოვრებით. განსახიერებული აქვს ასზე მეტი კინოროლი და არაერთი დასამახსოვრებელი სახე თეატრის სცენაზე. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ვარსკვლავების ხეივანს თენგიზ არჩვაძის სახელობის ვარსკვავი შეემატა. მის მიერ შესრულებული როლებიდან : დიდოსტატის მარჯვენა, შეხვედრა მთაში, ხევისბერი გოჩა, დათა თუთაშხია, - ქართული კინოს ლეგენდა მაყურებელს განსაკუთრებულად ამ როლებით დაამახსოვრდა. თენგიზ არჩვაძე მარჯანიშვილის თეატრში 50-იანი წლების ბოლოდან მოღვაწეობდა. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სახე მსახიობმა თემურ ჩხეიძის სპექტაკლში „ასი წლის წინათ“ შექმნა. დადგმაში თენგიზ არჩვაძემ ილია ჭავჭავაძე განასახიერა.

“...საკუთარი მრწამსისა და კაცობისთვის არასდროს მიღალატია.

შეიძლება, ადამიანი დამარცხდეს, მაგრამ ყველაფერი არ უნდა დათმო. რაც მთავარია, კმაყოფილების გრძნობამ არ უნდა შეგიპყროს. ჩემში ასეთი რამ არ არსებობდა... სულ ვწვალობდი, მეტი და მეტი მინდოდა. საკუთარი თავის ობიექტურ კრიტიკოსობას განათლება სჭირდება, ძალიან ძნელია... დრო გადის, ტკივილი მემატება, ჩემთვის დიდი ტრამვაა ახლობელი ადამიანების წასვლა – გიორგი შავგულიძე, აკაკი კვანტალიანი, ალექსანდრე გომელაური... ესენი დიდი კაცები იყვნენ. ასევე იყო ლიტერატურაშიც, მურმან ლებანიძე ჩემი ძმა იყო. მე ამ ცხოვრებასთან მრავალ მიზეზთა გამო ბევრი პრეტენზია მაქვს. მაგრამ ვფიქრობ, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და თავის სახელს დაარქმევს.



ჩვენს ქვეყანას მაშინ ეშველება, როცა ჩამოვყალიბებთ პოზიციას სამშობლოსა და საკუთარი თავის მიმართ. გასარკვევია, რას ემსახურები. თუ საქმე მარტო ფულს ეხება, ლაპარაკი ზედმეტია. თუ ფეხბურთს მსოფლიო იმიტომ თამაშობ რომ მილიონები იშოვო და სამშობლო ჩირადაც არ გიღირს, აუცილებლად სამით ნულს წააგებ. კაცი შამფურივით უნდა ტრიალებდეს და ეროვნული მოტივი გამოძრავებდეს.

მე ასაკოვანი კაცი ვარ, ვეღარ შევიცვლები, ნაღდი ლიტერატურა მიყვარს. მომწონს მურმან ჯგუბურია, რეზო ჭეიშვილი, ნოდარ დუმბაძე ახლობელი იყო, მე და ანზორ სალუქვაძე ერთ პერანგში გავიზარდეთ, ნუგზარ შატაიძეც მომწონს. რეზო ინანიშვილთან ერთად მთელი მთა-თუშეთი მოვიარე, გოდერძი ჩოხელი... ბევრნი არიან, ვისაც თვალ-ყურს ვადევნებდი.

ჩემს საიუბილეო საღამოზე პატივი მცევს, რაღაც თანხა მიბოძეს და არაგვისხეობაში, მისაქციელის იქით პატარა სახლ-კარი ვიყიდე ეზოთი და ვენახით. თითქმის სულ იქ ვარ, ლიტერატურას ვკითხულობ, ვაანალიზებ, ვფიქრობ... ხშირად მარტოობაშიც არის რაღაც სიამე. თუ არ ვცდები, კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა: “მარტოობის დროს მიყვარს ჭკვიან კაცთან საუბარი.” ცხოვრება რთულია, ძალიან რთული...”

Legend of Georgian Cinema

Tengiz Archvadze – Public Artist of Georgia – was born on August 3, 1932 in Tbilisi. In 1955 he graduated from the faculty of acting of Tbilisi Rustaveli Institute of Theatre. Since 1954 he was the actor at Marjanishvili Theatre and the movie actor of the film-studio “Kartuli Filmi since 1960. He is laureate of Rustaveli reward; he received state award, he was awarded featured order honor. He is the member of the unions of cultural workers and cinematographers. His biography is included in Georgian Encyclopedia.

Screen characters of Archvadze differ in artistic credibility, rich internal world, and difficult spiritual life. He has played more than one hundred movie roles and numbers of remarkable characters at the theatre stage. He has received state awards.

The star dedicated to Tengiz Archvadze was added to the Star Lane. Among roles played by him – Grand Master’s hand, Meeting in the mountains, Khevisberi Gocha, Data Tutashkhia were the ones, which are remembered by the audience the most. Tengiz Archvadze has worked at Marjanishvili Theatre since the end of the 50s. One of the most expressive roles was played by him in the play of Temur Chkheidze “One Hundred Years Ago”. Tengiz Archvadze played the role of Ilia Chavchavadze.

“... I have never betrayed my own faith and the humanity. A man can be defeated, but you must not give everything up. The main thing is not to be overcome by the sense of satisfaction. There has never been anything of such kind in me... I was suffering; I wanted to do more and more. If you want to be objective critic to yourself, you need to be educated, it is very difficult... Time goes by, pain becomes more bigger, death of my close people is a great trauma to me – Giorgi Shavgulidze, Akaki Kvantaliani, Aleksandre Gomelauri... They were great people. The same was in literature domain – Murman Lebanidze was my brother. I have much to say to the life, though, I think time to place everything in its place.

Our country will be saved when we form position towards our motherland and ourselves. I wonder what you are serving to. If it is only the matter of money, nothing can be said. If you play football only for making millions and you don’t think of the homeland, you will lose 3:0. A man must be fast and being motivated with national sense.

I am aged person, I can not be changed now, I love true literature. I love Murman Jguburia, Rezo Cheishvili, Nodar Dumbadze; he was my close friend. Anzor Salukvadze and I were grown up together. I like Nugzar Shataidze as well. Rezo Inanishvili and I visited Mta-Tusheti, Goderdzi Chokheli... There are many of them, whom I used to be introduced with...

I was honored at my Jubilee by being gifted with a small amount of money and I bought a small house, with a small vineyard in Aragvi ravine, close to Misaktsieli. I spend almost all time there. Read literature, analyze and consider it. Sometimes loneliness is a pleasure. I think these are Konstantine Gamsakhurdia’s words: “I love to speak with a clever person, when being lonely”. Life is difficult, very difficult...





მუსიკას ენა არა აქვს

მიუზიკლი „ჩხიკეთა ქორწილი“, „არგონავტები“, „თოვლის ბებოს ზღაპარი“ და „ფიროსმანი.“ წელიწადში 300 კონცერტი, ხალხით გატყედილი დარბაზები... დაგროვილი გამოცდილება „არწივობიდან“, „ფიროსმანობამდე“. თემურ წიკლაურს ახლაც არწივს ეძახიან. „ნიკალას ვერ შევედრები, მაგრამ, როცა ძალიან მიჭირს, სწორედ მაშინ ვმღერი.“ – ამბობს ბატონი თემური.

საქართველოში ესტრადის საწყისები გეპეის ჯაზში გამოვლინდა, ეს გასული საუკუნის 50-იან წლებში იყო. ესტრადის განვითარებაში დიდი

როლი „ორერამი“ შეასრუა. შემდეგ იყო „დიელო“ და ამ კონკურენციის ფონზე შეიქმნა ანსამბლი „ივერია“, ანსამბლმა უმაღლესი დონის წარმატებები და ხალხის სიყვარულიც მალევე მოიპოვა. ანსამბლმა მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა და მსოფლიოს 80 ქვეყანაში გამართა კონცერტები.

დღეს „ივერიაში“ 100 კონცერტი რომ დანიშნოს, დარწმუნებული ვარ – ამბობს ბატონი თემური-ასივეზე დარბაზი ხალხით იქნება სავსე. ჩვენ ვგრძნობთ მათ სიყვარულს და ასევე ჩვენც ვართ გამსჭვალული უდიდესი პასუხისმგებლობითა და პატივისცემით. მაყურებლის გარეშე ანსამბლი 40 წლის ვერ შეიქმნებოდა.

თემურ წიკლაური – ქართული ესტრადის ვარსკვლავი, იგი ოთხი წლის ასაკიდან მღეროდა, თუმცა ოჯახში მომღერალი არავინ ჰყავდა.. თემურს მთიული კაცის სიმტკიცე და გაუტყელობა ახასიათებს. ცხოვრებამ ვერ დაიმორჩილა და ვერ შეცვალა, თუმცადა „ბლომად მიტყაო“ ამბობს მომღერალი. 1983 წელს პოპულარობის ზენიტში მყოფი წიკლაური დიდმა ტრაგედიამ მორალურად გაანადგურა. მისი ვაჟი პატარა გიორგი სიკვდილმა ხელიდან გამოსტაცა. მოგვიანებით, უფალთან რომ ახლოს ყოფილიყო, ლურჯ მონასტერს მიაშურა და უკვე წლებია შვილიშვილთან ერთად, რომელიც სტიქაროსანია, დადის მონასტერში. ეს ტკივილია, რომელიც არასოდეს გტოვებს. ასე მეგონა სამყარო თავზე დაბეჭდა და სისუსტის შეგრძნება არ მასვენებდა. მაგრამ, მადლობელი ვარ ადამიანების, რომლებსაც არასოდეს მიუგუროვებია, ისინი ჩემი მეგობრები არიან, სწორედ ამიტომ, ჩემს არსებობას და ყველა წარმატებას მათ ვუმაღლი, რამეთუ სწორედ მათ ივაჟაკეს, პატივი დამდეს და წამიყვანეს უწმინდესთან. უნეტარესის შემწეობით და ლოცვა კურთხევით ძალა და რწმენა მომეცა. ალბათ ხელმოსაჭიდს ვეძებდი და პატრიარქს დავეუჯერე, ამ უდიდესმა პიროვნებამ მომცა ძალა სამყაროსთვის თვალი გამესწორებინა და ყველაფერი ისე მიმეღო როგორც იყო, როგორც უფამა დაუშვა. მანამდე კი სიმღერაზეც საუბარი ვერ წარმომედგინა... მადლობა ღმერთს, ეს თბილი დამოკიდებულება საქართველოს პატრიარქთან დღემდე გრძელდება. უწმინდესთან საუბრის შემდეგ ერთ კვირაში სცენაზე დავდექი და ის ტრაგიკული დღეები სცენაზე გავატარე. ნურავინ იტყვის, რომ ტკივილი ქრება, უბრალოდ, ეს შეუხორცებელი ჭრილობაა, რომელსაც ყოველ გასვენებაზე სისხლი სდის.

მე და ჩემმა მეუღლემ მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ. -ლილის ივერიაში შევხვდი, მერე ქეთევანი გაჩნდა. ... ქეთევანი მღერის და ცეკვავს, ძალიან ნიჭიერია, მას ჰყავს ვაჟისვილი, -ანდრია.

...45 წელია მე და ჩემი მეუღლე -ლილი ერთად ვართ. სიამტკობილობით, ცრემლით, ჭირ-ვარამითა და სიმღერით გავატარეთ ეს წლები. ვფიქრობ, საუკეთესო დუეტი ვართ ცხოვრებაშიც და სცენაზეც.

ხშირად მითქვამს და ვამბობ, მუსიკას ენა არ აქვს მეთქი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ ქართული სიმღერები დაივიწყონ და უცხოურ სიმღერებს მისცენ გასაქანი. მესმის, უცხოური სიმღერის მღერა ადვილი არაა, მაგრამ ის ხომ მაინც სხვისია. არის ასეთი გამოთქმა: „თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასაო“. ასე მოგვდის ჩვენც, თუმცა ამით იმას არ ვამბობ, რომ უცხოური არ იმღერონ, პირქით, მაგრამ საკუთარს, ქართულს დაუთმონ მეტი წილი ადვილი.

Music has no Language...

The musicals “Jay-bird Wadding”, “Argonauts”, “Snow Maiden Tale” and “Pirosmani”. 300 concerts per year, halls full of people... experience from “Eagle” to “Pirosmani”. Temur Tsiklauri is being called an Eagle even today. “I can not compare myself to Nikala, though I sing when I am in difficulty” – says Mr. Temuri.

Georgian bandstand took its start in the jazz of Georgian Technical Institute. It was in the 50s of last century. “Orera” played great role in bandstand development, it was followed by “Dielo” and on such background “Iveria” was established. The Ensemble had success and soon gained love of the people; it had tour around Soviet Union and conducted concerts in 80 countries of the world.

If “Iveria” appoints 100 concerts, I’m sure – says Mr. Temur – the concert hall will be full at each of them. We feel their love and we feel great responsibility and respect. The Ensemble wouldn’t exist for 40 years love of the audience.

Temur Tsiklauri – Georgian Pop Star. He sings since he was four, though nobody was a singer in his family. Temuri is characterized with straight and strong nature as all Mtiulians. The life couldn’t obey and change him, though it “used to beat me” says the Singer. Great tragedy in 1983 ruined morally Tsilauri being in the zenith of popularity. Death took his son – little Giorgi. Later he went to the Blue Monastery to feel closer to God and today he goes there with his 14 year old grandson, who is a sticharion. This is the pain that never leaves you. I thought my world to be ruined and felt myself weak. Though I am grateful to the people, who have never left me; they are my friends. That is why I am thankful to them for my existence and success, as they did me honor and took me to His Holiness. I returned strength and faith by His blessing. I might have been looking for something to “hold” and I believed to the Patriarch. This Great Person gave me power to stand straight and to take everything as it was, like the God’s disposal. I couldn’t even think about singing... Thank God, this warm relationship with the Patriarch of Georgia is maintained. I stood on the stage in one week after conversation with His Holiness and spent those tragic days there. Do not say that pain disappears; it is unhealed wound, bleeding when remembered.

I have said many times, and repeat now: “Music has no language”, though this doesn’t mean that our youth shall forget Georgian songs and let foreign songs in. I understand, it is not easy to sing foreign songs, but it belongs to others. There is an expression: “Owner of a best apple looks for the wild pyrus in the woods”. This happens to us. Of course, I do not mean not to sing foreign songs at all, but they are to let more place to the own, Georgian songs.





ლედი და ბოლის სახლი

ერთგან, ძველი რომაელი, ორატორი და ფილოსოფოსი მარკუს ტულის ციცერონი ამბობს, რომ „საქორწინო კავშირი –ადამიანთა საზოგადოების პირველი საფეხურია”. ამ ნაბიჯზე კი ბევრია დამოკიდებული; განწყობა, ღიმილი, იმედი... ამ დღეს ყველა ცდილობს მომხიბვლელები იყვნენ. ქორწილი ქალის ცხოვრებაში ბედნიერებასთან ასოცირდება, ეს ყველაზე ლამაზი და დაუვიწყარი დღე უნდა იყოს წყვილთათვის. ბედნიერება ხომ სწორი ნაბიჯით მიზანთან მისვლაა.

მშვენიერო ქალბატონებო, სწორედ ამიტომ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის შეიქმნა კომპანია „მარიგოლდი”, რომელიც უზრუნველყოფს არაჩვეულებრივ საღამოებს, ქორწინების დაუვიწყარ დღეებს. თქვენ ყველგან იბრწინებით, იქნებით განუმეორებელი და ერთადერთი, თქვენი ჩაცმულობა თვალს მოჭრის ყველას.

კომპანია „მარიგოლდი” დაფუძნდა 2008 წელს. ერთი წლის შემდეგ ბრენდის სახელი მოიპოვა. 2009 წლიდან დღემდე არაერთხელ მდგარა წარმატების მწვერვალზე. კომპანიის ხელმძღვანელი ქალბატონი **თამარ ნადირაძე**

ბავშვობიდან ოცნებობდა ყოფილიყო ცნობილი და წარმატებული დიზაინერი, და შეექმნა არაჩვეულებრივი კოლექცია.

...ფილარმონიაში მოეწყო ჩვენება „წარმატებული ქალები პოდიუიმზე”, 30 წარმატებულ ქალბატონს ამშვენებდა „მარიგოლდი”ს საღამოს კაბები. იმავე წელს „მედია გრუპის” მიერ გამართულ პრეზენტაციაზე შეიქმნა ახალი კოლექცია. ესპანეთის საკურორტო ზონაში „ლორენ დე მარში” გამართულ ფესტივალზე opus dance მიწვეული იყო ქალბატონი თამარი, სადაც წარადგინა „ფერთა გრადაციისა” და „ბავშთა კოლექციის” კაბები. „ბამბა-რუმში” ნატალის მოდელებმა” წარმოადგინეს „მარიგოლდის” საღამოს კაბები. ბათუმში, „მსოფლიო საერთაშორისო გამოფენა”ზე მიიღო მონაწილეობა და წარმატებული ბიზნესმენის სერთიფიკატით დაჯილდოვდა.... ეს არასრული ჩამონათვალია.

2011 წელს კომპანია „მარიგოლდი” ასოციაცია „იბერიის” მიერ მიწვეული იყო კიევში, სადაც გაიმართა დიზაინერ თამარ ნადირაძის პერსონალური ჩვენება. ამავე წლის ბოლოს „მარიგოლდმა” გამოუშვა საქორწინო კატალოგი სპეციალურად საფრანგეთისათვის.

ცხოვრობს ყველასათვის, სიცოცხლე უყვარს, ის რჩეულ ქალთა რიცხვს განეკუთვნება. ქალბატონი თამარი უშუალო, კომუნიკაბელური და პირდაპირია. ადამიანებთან ადვილად შედის კონტაქტში. წარმატებასთან ერთად იმედგაცრუებაც არაერთხელ იწვნია. ხშირად, სიკეთე და თანადგომა შურისა და ბოროტების სახით უკან დაბრუნდება. სტკივა, მაგრამ სამაგიეროს გადახდაზე არასოდეს უფიქრია, პირიქით, სჯერა სიკეთის და დარწმუნებულია, რომ უფალი არასოდეს მიატოვებს. სწორედ ესაა მისი წარმატების მიზეზი.

....რასაც ვქმნი, ეს ჩემთვის ბიზნესი კი არა, ხელოვნებაა, ჩემი სულის საზრდო. თითოეული კაბა მთელი შემოქმედებაა და მასში საპატარძლოები მომაჯადოვებლად გამოიყურებიან. –ამბობს ქალბატონი თამარი.

პირველად საქართველოში მარიგოლდმა გამოსცა საქორწილო კატალოგი, და ურთიერთ სათანამშრომლოდ გაიგზავნა პარიზში, რაც წინაპირობაა იმისა, რომ უახლოეს პერიოდში კომპანია გახსნის მაღაზიას „მარიგოლდის” სახელით.

ქალბატონი თამარი არც პატარებს ტოვებს უყურადღებოდ. სწორედ აქ, მარიგოლდში იმოსებიან „პატარა ქალბატონები” ფერიებივით. ის მზრუნველობა მოკლებულ პატარებსაც ანებივრებს, წელიწადში ერთხელ, დაუვიწყარ საღამოს უწყობს და მათვის სპეციალურად იკერება არაჩვეულებრივი სამოსი, რომელიც საჩუქრად რჩებათ პატარებს.

სწორედ ამიტომ, „მარიგოლდი” მაღალი გემოვნების ქალბატონებს ელოდება.





BUSINESS LADY AND FASHION HOUSE

Ancient Roman, orator and philosopher Marcus Tullius Cicero says: "marriage is the first stage of human society". Much depends on this decision; mood, smile, hope... This day everybody tries to look attractive. Wedding is associated with happiness in the life of the woman. This is to be the most beautiful and unforgettable day in the life of the couple. Happiness is walking direct to the achievement of the goal.

Many saloons consider themselves to be able to create image to the brides, though only few of them are able to achieve desired goal. There are many brides burst in tears because of not liking how they look on their wadding.

Beautiful ladies, the company "Marigold" has been created for you and only you. The company arranges incredible evenings, unforgettable wedding days. You will sparkle everywhere, being beautiful and inimitable; your dressing will attract everyone.

The Company Marigold was established in 2008. It gained brand name in one year. Since 2009 till today it used to stand on the peak of success several time. Manager of the Company, Mrs. Tamar dreamed in her childhood to be a designer and to create incredible collection. She organize a show named "Successful Ladies on the Podium" at the philharmonics. 30 successful ladies were wearing "Marigold" evening dresses. At the presentation conducted by "Media Group" same year, a new collection was created. Mrs. Tamar was invited to the Festival "Opus Damce" at the resort zone of Spain "Loren de Mar", where she exhibited dresses from her "Color Gradation" and "Children's Collection". Models of "Natali" showed Marigold evening dresses at "Bamba-Room". She participated and was awarded the certificate of a successful business person at "World's International Exhibition" in Batumi... This is incomplete list.

Association "Iberia" invited the company "Marigold" to Kiev in 2011, where there was held personal show of the designer Tamar Nadiradze. At the end of the same year "Marigold" published wedding catalogue specially for France.

The brand "Marigold" created beautiful synthesis. Cloths are European, true royal, that's why the Company has fear on the background of market competition. "Marigold" knows its handwriting to be different, rare and very original. Each detail, even a small lace here is processed manually. Thin French chiffons, Spanish, Italian and Asian silk and atlases turn into masterpieces in magic hands. They speak only of taste here. "Marigold" makes boost of author's dresses. The ladies trust in the hostess's professionalism. They protect brand name strictly here. You must see it... not only see, but try it on. And when you have the dress on, you will never let it away.

She lives for everybody, loves life and belongs to the number of the featured person. Mrs. Tamar is a immediate, sociable and direct person. She contacts with people very easily. She used to have disappointment together with success. Often kindness and support return to her in the face of envy and evil. She suffers, though never thinks of revenge. On the contrary, she believes in kindness and is sure that God will never leave her. This is the reason of her success.

...What I create is not business, but an art to me. I put creativeness into each dress and brides look attractive in them, – says Mrs. Tamar.

"Marigold" was first to publish wedding catalogue in Georgia that brought great success to the Brand. The Catalogue was sent to Paris for collaboration that is precondition to the opening of the "Marionela" shop in Paris.

Mrs. Tamar, you never leave a bride without attention. This is here, in "Marigold" where "little ladies" are dressed, like fairies. She supports homeless children as well. Once a year she arranges unforgettable evening and sews incredible dresses to them, which remain with them as a gift.

That is why "Marigold" is waiting for the Ladies of exclusive taste.



ჩვენში ბიზნესი ყიდვა-გაყიდვა ჰგონიათ



ზაურ ტყემელაშვილი საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი, ჩოხოსანი დაიბადა 1944 წლის 22 ივნისს, ქ.ქუთაისში. 1961 წელს დაამთავრა ქ.ქუთაისის N3 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1968 წელს. 1974 წელს, დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. უმაღლესი სწავლის პარალელურად მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ - მუშაკად.

1971 წლიდან სამუშაოდ გადავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მშენებლობის ხაზით. 18 წელიწადი ხელმძღვანელობდა სამშენებლო სამმართველოს. ამ სამმართველოს ბაზაზე 2002 წელს დააფუძნა საამშენებლო კომპანია შპს „პროექტი-21“. არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი. „ასე რომ, სულით და პროფესიით მშენებელი ვარ. ამბობს ბატონი ჯაური“- არ მიყვარს ნგრევა. შენობა რომ მოძველდება და საჭიროა მისი ახლით შეცვლა, ყოველთვის ვცდილობ, ძველიც შევიწარმნო და ახალიც ავაშენო. ძველ ბალავარში წინაპართა სულს ვგრძნობ და ვუფრთხილდები. მინდა დიდხანს ვიცოცხლო, მაგრამ თუ ჩემს სამშობლოს დასჭირდა, არც სიკვდილსა მეშინია.

ჩემს მეუღლეს, სამი შვილი და სამი შვილიშვილი. ჩემი უპირველესი სიამაყე და სიმძირე ჩემი ოჯახია, თავისი ეროვნული ტრადიციებით.

შვილებს და შვილიშვილებს, უპირველ ყოვლისა, გოგებაშვილის „დედა ენით“ ვზრდიდი და ვზრდი.

შვილიშვილები მავიწყებენ დაღლას და მმატებენ მხნეობას, რის გამოც მიქრება სხვისი უმადურება და წყენა.

ვევედრები უფალს მოვესწრო შვილიშვილების ბედნიერებასა და შვილთაშვილებს.

ბიზნესთან დაკავშირებით შემიძლია ვითხრათ, რომ ჩემი კომპანიით ფაქტობრივად ბიზნესში ვმოღვაწეობ. სამწუხაროა რომ, ჩვენში ბიზნესი ძალზე ბევრს ყიდვა-გაყიდვა ჰგონია. ჩემი აზრით, ბიზნესი ურთულესი პრაქტიკული მეცნიერებაა, რომელიც თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ ჩვევებს, ადამიანის გამჭრიახობასა და ეკონომიკურ გათვლებს ეფუძნება. მეწარმე, რომელიც არასწორად გათვლის და მაღალ მოგებას დაისახავს მიზნად, აუცილებლად გაკოტრდება. ბიზნესში უპირველესია : ხარისხი, სიტყვა, ავტორიტეტი, ხოლო შემდეგ მოგება.

მადლიერი ვარ უფლის, რომ ვიცავ კანონზომიერებებს ბიზნესში და მაქვს შესაბამისი შემოსავლები. ვინახავ კომპანიას თავისი უამრავი ხარჯით, ვიხდი სახელმწიფო გადასახადებს და დროულად ვაძლევ გასამრჯელოს ხელშეკრულებით გაფორმებულ 200-250 მუშა-მოსამსახურეს.

დარჩენილი მოგებით კი დამაკმაყოფილებად



ვინახავ ოჯახს.

დღემდე, ჩემი განვლილი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. მაღლობა უფალს, რომ ქართველად დავიბადე, დიდება მაცხოვარს, რომ ამ მაღლიან ღვთისმშობლობის წილხვედრ მიწაზე - საქართველოში გამაჩინა.

... თქვენ და მეცნიერება, თქვენ და რელიგია, თქვენ და სპორტი, თქვენ და ჩოხოსნები, თქვენ და მწერლობა


მე რელიგიით დავიწყებ: იგი ურთულესი და ძალზე ფაქიზი მეცნიერებაა. მასშია მეტ-ნაკლებად ყველა მეცნიერება გაერთიანებული. ჩემი საერო და სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ფუნდამენტალურად ვერ ვწვდები ამ მწვერვალს, მაგრამ მაქვს რწმენა და შიში. ეს ორი კომპონენტი აუცილებელია ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრებისათვის. რწმენაში - მე კაცის ყველა ღირსებას, სიყვარულს, სათნოებას, თავმდაბლობას, შენდობას და კეთილ საქმეს ვგულისხმობ, მფარველი ანგელოზის თანადგომით, ხოლო შიშში - იმ მიუჩინებელ და უღირს ჩვევებსა და მოვლენებს, რომლებიც სატანის წაქეზებით ადამიანმა შეიძლება იკადროს. კეთილმა საქმემ სიამოვნება უნდა მიგანიჭოს. ქართველმა კაცმა ნათელი და ნამუსიანი გზით უნდა იაროს და იცხოვროს. ჩემი გაგებით ამას გვასწავლის ჩვენი მართლმადიდებლური რწმენა. კაცი მართალი უნდა იყო!

ამას ქადაგებს ჩვენი მაცხოვარი და დედობის სიმბოლო - ღვთისმშობელი. დედისა და ღვთისმშობლის მოყვარულმა კაცმა დედა სხვასაც არ უნდა შეაგინო. ოჯახში მაქვს სამლოცველო ოთახი, წმინდანების ხატებით და დილით ულოცველი არ გავდივარ სახლიდან. საღამოს მობრუნებული პირველ რიგში ხატებს ვეახლები და მაღლობას ვუძღვნი განვლილი დღისა და ოჯახში კეთილად დაბრუნებისათვის. ძალიან მინდა ჩემმა შვილებმაც, შვილიშვილებმაც და ჩემმა მოდგმამ რწმენით იცხოვროს, რადგან რწმენის გარეშე სიყვარულსაც არა აქვს მაღლი.

სისტემატიურად ვკითხულობ და ვეცნობი მეცნიერულ სიახლეებს და საინჟინრო მიღწევებს. მჭიდრო ურთიერთობა მაქვს სამშენებლო და არქიტექტურულ მეცნიერებასთან. სხვანაირად ჩამორჩები დროს, დაეცემა სამშენებლო ხარისხი, მისი არქიტექტურული ღირსება. ამ მხრივ, თუ დროს ჩამორჩი, კოლეგებთან შეხვედრისას „დაჩაგრულ კაცად“ იგრძნობ თავს. შენება - ეს თავადაა მეცნიერება აღმშენებლობით ფუნოქონში.

სპორტთან ურთიერთობაზე - მინდა გაუწყოთ, რომ მოსწავლეობისა და სტუდენტობის პერიოდში ძალზე გულმოდგინედ ვვარჯიშობდი კალათბურთში. 1960-იან წლებში ქ. ქუთაისში კალათბურთის ბუმი იყო. ქუთაისელი მოსწავლეები რამოდენიმეჯერ გავხდით საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრიზიორები - ჭაბუკთა და იუნისტთა შორის. ჩვენი წარმატებების წყარო გახლდათ ახალგაზრდათა მწვრთნელობის სიმბოლო კაცი, კაცი მწვრთნელი და აღმზრდელი - სულიკო თორთლაძე. მას ჩემს და ჩემი ათობით მეგობრის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მეამაყება, რომ ახალგაზრდობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების: ზურაბ საკანდელაძისა და მიხეილ ქორქიას გვერდით ვთამაშობდი.

ჩოხოსნებთან დაკავშირებით - შემძლია ვითხრათ, რომ ჩოხა-ახალუხს და ჩოხოსანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ კულტურაში. ჩოხა-ახალუხით შემოსილ კაცს უნდა ახლდეს ყველა ღირსება, რაც ქართველი მამაკაცისთვისაა დამახასიათებელი: სიდარბაისლე, თავმდაბლობა, ვაჟკაცობა, თავგანწირვა, ერთგულება, ერისა და სამშობლოს სიყვარული. ჩოხოსანი ის პიროვნებაა, რომელიც ამალღებულია სულით, პატრიოტული გულით და ქართული ღირსებითაა შემკული, როგორც სიმბოლო ვაჟკაცობის, კულტურის, მამაცობისა და გამძლეობის. ჩოხით შემოსვა არ უნდა იქცეს მოდად. ჩოხის ჩაცმა ყველას არ უნდა





შეეძლოს ...
 მიხარია, რომ თბილისში ჩოხოსანთა საზოგადოებები არსებობენ. ჩვენი საზოგადოებას სათავეში სიმბოლოდ ერის პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II უდგას. თავად მე, ერთ-ერთი სადროშოს ხელმძღვანელი ვარ.

ჩოხოსანთა ჩვენი საზოგადოების მიზანია ძველი ქართული ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის წარმოჩენა, მამაკაცის სულიერების ამადლება, ბრძოლისუნარიანობა და სიმტკიცე, ქართველთა ყოფიერების გაბრწყინება ცივილიზებულ მსოფლიოში.

ჩოხოსანთა საზოგადოება და თითოეული ჩოხოსანი აკურთხავს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II. საზოგადოებას აქვს ჰიმნი, რომელსაც საფუძვლად დაედო პატრიარქის მიერვე შექმნილი მუსიკა და ვაჟა-ფშაველას უკვდავი სიტყვები: რა კავშირი მაქვს მწერლობასთან ?

როგორც ყველა ქართველს უდიდესი და თანაც მჭიდრო. ბედნიერი ვარ უფლის, რომ ამდენი პოეტი, მგოსანი, პროზაიკოსი და „სულის ინჟინერი“ დააბერტყა ჩვენს ერს. რომელი მათგანი ჩამოვთვალო, რომელი გამოვყო?! განსაკუთრებით მიყვარს: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ლადო.

შოთა - მსოფლიო მოვლნაა. იგი ფილოსოფოსთა და პოეტთა ცის კაბადონზე სამარადისო კაშკაშა ვარსკვლავია. მან ფილოსოფიურ მცნებებთან ერთად ნამდვილ დემოკრატიას ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში უმღერა:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. მაშინ როდესაც, მიმდინარეობდა დღევანდელ დიდ სახელმწიფოთა ფორმირებები და სახელმწიფოებად ჩამოყალიბება.

დიდია ილია. იგი საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის უგვირგვინო მეფეა. მისი მუდმივი საზრუნავი იყო: „... მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?“.

აკაკი - დედა-შვილობის, აღზრდის, სიწმინდისა და სამშობლოს, მგოსანია.

გამორჩეულად და სისტემატიურად ვკითხულობ ვაჟასა და გალაკტიონის ლექსებს.

საოცარია ქართული პროზაც. 23 წლის ლადომ ქართულ ენას ღმერთების ენა უწოდა.

ქართველთა სისხლის ყივილი კი უპირველ ყოვლისა - ეროვნული სიბრძნეა.

თქვენი თვალთ დანახული თქვენი პერიოდის საქართველო რამდენადაც საქართველოს ისტორიას კარგად ვიცნობ, ჩემთვის საქართველო განუზომელი და განუყოფელია. იგი ათასწლეულების ხნისა და ერთიანად ვუყურებ.

საოცარი ქვეყანაა ჩვენი სამშობლო - საქართველო. და, ამ უმშვენიერეს ქვეყანაში ერთა შორის რჩეული, ქართველი ერი ცხოვრობს.

ევროპისა და აზიის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის სტრატეგიულ გზაჯვარედინზე

მდებარე საქართველო, ყველა ერისა და ქვეყნისათვის მიმზიდველი იყო და კვლავაც იქნება.

დღეს საქართველოს, ქართველ ერს უჭირს, დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიურად უჭირს ხალხს, დაბალია შობადობა და ა.შ. მაგრამ უფლის წყალობით ყველაფერი რიგზე იქნება.

ჩვენ, ქართველები, სულიერი სიმტკიცით, რწმენით და ყოფიერებით გამორჩეული ერი ვართ, რომელიც სამართლიანადაა მიახლოებული ზეცასთან. ანდაზა გვეუბნება, მზე პირველად მთის მწვერვალებს ანათებსო!

ღრმად მწამს და მჯერა, საქართველო უკვდავია, იგი კვლავ გაბრწყინდება!!!

საქველმოქმედო საქმიანობაზე - უხერხულია ჩემგან საუბარი. ჩემს გაღებულ ღვაწლზე სასურველია სხვამ ისაუბროს. კმაყოფილი ვარ ჩემი იღბალის, რომ ჩემი ცოდნითა და ოფლით მოპოვებულით გაჭირვებულები დამიპურებია და შემიმოსავს.

მიმაჩნია, რომ საქართველოში მშვიერი, ზარმაცი, უშრომველი და უქნარა არ უნდა იყოს. ვერაფერს ვიტყვი ჯანმრთელობა შელახულებსა და ხეიბრებზე.

რუსულ-ქართული ურთიერთობები. თქვენ და პოლიტიკა.

თქვენი თავისუფალი დროის გრაფიკი.

პროფესიული პოლიტიკისაგან შორს ვარ. მაგრამ როგორც ყველა ქართველი, თუნდაც სამეგობროში, სუფრაზე, სამსახურში, ოჯახში მეტ-ნაკლებად განსჯად მოვლენებში ვიღებ მონაწილეობას. ძალზე საწყენია, რომ საქართველოში პოლიტიკა ე.წ. „ბინძურ საქმედაა“ მიჩნეული. მე კი პირიქით, მგონია, პოლიტიკაში გონიერი, განათლებული, დიპლომატი და ღირსეული ადამიანები უნდა მონაწილეობდნენ. დიდი მოაზროვნე ჰილერი ბრძანებდა: „ბედნიერია ქვეყანა, რომელშიც ფილოსოფოსები მეფონებ, ხოლო მეფენი კი ფილოსოფოსობენო“. სწორედ ამის გამოა, რომ დაშვებული იქნა ორმხრივი შეცდომები, ორ ერთმორწმუნე ერებს - ქართველებსა და რუსებს შორის. უფრო სწორედ ორ ხელისუფალს შორის. ნათქვამია: „ხელისუფალნი მოდიან და მიდიან“- ო, ამ ფონზე, ჩემი აზრით, ერების ყოფიერება კი მუდმივია.

ღრმად ვარ დარწმუნებული ქართველი და რუსი ხალხები კვლავ გამოძებნიან საერთოს, მეგობრულს და სასიყვარულო ურთიერთობებს. კვლავაც გაიმართება შერეული ქორწილები ქართველებსა და რუსებს, ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის და ა.შ. იზრდება უფრო მოაზროვნე და ღირსეულითაობები. დრო ყველაფერს დაარეგულირებს უფლის წყალობით.

ასეთი სერიოზული და ცხოვრებისეული სხვა პრობლემების ფონზე, მეექვსეა ვინმეს თავისუფალი დრო ჰქონდეს.

თქვენი ყველაზე დიდი მიღწევა და ცხოვრებისეული კრედო

მიღწევებიდან - უპირველეს ყოვლისა, ტრადიციული ოჯახის შექმნას, შვილებისა და შვილიშვილების ყოლას, სახელსა და ავტორიტეტს მივიჩნევ.

ცხოვრებისეული კრედო კი ასეთია; მსურს კვლავაც ვიყო კაცი - ქუთათური, დაბადებიდან ქართული სულით! რომელიც გულით, აზროვნებით, ყოფიერებით ჩემს სამშობლოს ვეკუთვნოდე დამისისიდიადის მცირე კენჭი ვიყო, ჩემი დიდი ოჯახით, ჩემი მეუღლით, სამი შვილით, სამი შვილიშვილითა და ჩემი მოდგმით.

ჩემი ოცნება და რეალობა - თანახვედრია და ამიტომ ვასხავ პრაქტიკულად ფრთებს.





Zaur Tkeshelashvili – Merited Civil Engineer, Chokhosani (Georgian knights wearing traditional Georgian clothing - Chokha).
- He was born on June 22, 1944 in the city of Kutaisi, In 1961 he finishes Kutaisi secondary school No. 3 and continued learning at Iv. Javakhishvili State University. In 1974 he finished Technical Institute of Georgia specialized in civil engineering. Parallel to the learning at the Institute we worked at Scientific-Research Institute of Hydro technique for the scientific worker. Since 1971 he went to work to the building domain of the Ministry of Internal Affairs of Georgia. He managed construction division for 18 years. On the base of this division in 2002 they founded building company “Project-21” Ltd with Mr. Zaur as its Director. He is merited engineer of Georgia.

He says: “I am a builder with all my heart. I hate destruction. When a building grows old, it must be changed with the new one. I do my best to keep the old and built new. I feel the soul of our ancestors and I take care of it”.

He has a wife, three children and three grandchildren. His family with its national traditions is his pride and the most important wealth.

He used to and still grows his children and grandchildren on Gogebashvili’s “Deda Ena”. Grandchildren let him forget tiring and encourage him and he forgets the offence.

Mr. Zaur, what is the business to you?

Unfortunately many people consider purchasing and sell to be business. To my mind, business is the most difficult practical science, which leans upon knowledge, practical skills, insight and economical calculations of every person. Main issues for business are: quality, word, authority, and only after this comes the profit.

Religion and you. – Religion is the most difficult and extremely delicate science. It unites almost all sciences. Pursuant to my public and business status, I can not reach this peak fundamentally, though I have faith and fear. These two components are necessary for living in the world. I mean dignity, love, goodness, modesty, forgiveness and benevolence in the concept “faith”, and in the “fear” I consider those dishonest and unacceptable habits and occasions, which can be done by a man encouraged by the Devil.

I read scientific news and engineering achievements systematically. I have close relation with the building and architectural sciences. Otherwise you will walk behind, building quality and its architectural value will be reduced.

I’d like to let you know that I went in for basketball when being a student. In the 60s basketball was very popular in Kutaisi. Kutaisian students several times won championships of Georgia and Soviet Union among boys and juniors. The ground to our success was the trainer and teacher – Suliko Tortladze. He occupies the most important place



in the life of me and tens of my friends. I'm proud of having opportunity to play basketball side by side to the champions of Olympic games: Zurab Sakandelidze and Mikheil Qoqia. About Chokhosanis – I can say that Chokha and Chokhosani occupy special place in Georgian culture. A man wearing Chokha must have all the consciousness that are characteristic to the Georgian man: solidity, modesty, courage, devotedness, love of the nation and the motherland. Chokhosani is the person with outstanding spirit, patriotic heart and Georgian dignity. He is the symbol of courage, culture, braveness and endurance. Wearing Chokha must not become fashion. It can not be worn by everyone...

I am glad there are Societies of Chokhosani's in Tbilisi. Our society symbolically is led by the Patriarch of Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II. I am the leader of one of the flags/

You and poetry. Great and close relation as of all Georgians. I'm grateful to the god for so great number of poets, prosaic writers and "engineers of soul". I can name many of them, but distinguish Shota Rustaveli, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha Pshavela, Galaktion Tabidze, Lado Asatiani...

Georgia is in difficult situation today. Georgian territorial integrity is violated. People are in economical need, number of childbirth is low and so on. Though, thanks to God, everything will be better.

We, Georgians are the nation distinguishing in spiritual stability, faith and life style, which stands close to heaven. Georgian proverb says: the sun first warms the mountain tops.

I would like to name civil war, loose of Abkhazia and Samachablo, tragedies of Gagra, Gali and Ergneti – as the greatest pain of mine. These are unforgettable spots in the life of the nation.

I stand far from professional politics, though, as every Georgian, I participate in discussions among friends, on the tables, at the job, in the family. It is offensive that they consider politics to be "dirty business". I think on the contrary, talented, educated, diplomatic and worthy people must take part in politics. Great thinker Hiley said: "The country in which philosophers are reigning and the Kings philosophing is the happiest". This is the reason to making bilateral mistakes, among two countries of same religion – Georgia and Russia; to be more precious, among two governments. They say: "Governors come and leave". On this background life of the nations are permanent.

I deeply believe Georgian and Russian people to find something common, friendly and hearty relations. Weddings of Georgian and Russians, Georgians and Abkhazians, Georgians and Ossetians will take place. We have much educated and worthy future generations. Time will settle everything down, thanks to the Lord.

My credo is: I want still to be Kutaturi (resident of Kutaisi), born with Georgian spirit!.. to belong to my country with all my heart, my mind and style of my life, to be part of its greatness with my family, my wife, three children, three grandchildren and future generations.

My dream and reality – There is a great margin between thankfulness and discontent. These are two different visions and poles. As I am speaking about my educator so grateful, I do not want to think about discontent. Thinking about is misfortune.

- Love of the homeland is living in Georgia, respect of the family, care for the descendants...

My hobby is to live till the age of 100, to see unity of Georgia, its revival and prosperity.

God will save Georgia!





கோயம்பி





BATUMI

























პატიოსნება და პროფესიონალიზმი



ბათუმში ცხოვრება რთულიც არის და მარტივიც. რთული იმიტომ, რომ არაფერი არ უნდა შეგეშალოს. მარტივი კი იმდენად, თუ კეთილსინდისიერად და ვაჟკაცურად ცხოვრობ, ყველაფერი თავისთავად მიდის. რა თქმა უნდა შრომის, განათლების, პროფესიონალიზმის, ძიების, კაცთმოყვარეობისა და ქვეყნის სიყვარულის ფასად. –საუბრობს ბატონი ასლან თავდგირიძე. მამა მეტყვოდა: როცა მტერი გამოგეკიდება, ხალხს მიაშურე, მაგრამ თუ ისე წახდი, რომ ხალხი გამოგეკიდა, გზა წყლისკენ გქონია და სიცოცხლე აღარ ღირსო.



ასლან თავდგირიძე –საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი. დაიბადა 1960 წლის 31 მარტს, ბათუმში. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტი, სამოქალაქო მშენებლობა, პროფილით ინჟინერ მშენებელი. იერარქიის ყველა საფეხური ღირსეულად გაიარა. დროთა განმავლობაში მოღვაწეობა უხდებოდა: ქ. ბათუმის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოში, იყო ახალშენის საკრებულოს მდივანი, ფირმა „ბანა XX“ პრეზიდენტი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, მოგვიანებით გამგებელი. არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, არის რეგიონალური პოლიტიკის, თვითმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის წევრი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.



საამაყო და მისასალმებელია, რომ აჭარა, წმიდა ანდრიას კურთხეული მიწა, იმ გზას დაადგა, რასაც ერთიანობა და ერთსულოვნება ჰქვია. როგორც ხედავთ, დღიდან დღეზე ლამაზდება ბათუმი და თითოეული რაიონი. ბატონი ასლანი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. ჯერ კიდევ როცა ის გამგებლად მუშაობდა იმ მცირე დროშიც კი მოახერხა საზოგადოების უზარმაზარი სიყვარული და პატივისცემის დამსახურება. დროულად წყდებოდა რიგი საკითხები, რომლებიც წლების განმავლობაში გადაუჭრელი იყო. ხშირად დებულობს სამადლოებელ წერილებს. მისმა დამაჯერებელმა და ობიექტურმა მიდგომამ, შედეგი გამოიღო, რაიონის მაცხოვრებლებმა შეიყვარეს და საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარად აირჩიეს. მტკიცე ხასიათი აქვს. ერთხელ ნათქვამს არ გადავა. შორსმჭვრეტელია და პრაგმატულად აზროვნებს. ყოველთვის საქმეშია ჩაფლული. უქმად ყოფნას არ არის ჩვეული. თვითრეალიზაცია, სწორედ ეს გახლავთ მისი ცხოვრების მამოძრავებელი დერძი. სადაც არ უნდა ემუშავა ბატონ ასლან თავდგირიძეს კეთილსინდისიერება მისი სავიზიტო ბარათი გახლდათ. ამიტომ, საიმედო პარტნიორისა და იმედიანი კაცის სახელით ცხოვრობს. ბუნებით მშენებელი, რეალისტი, მორწმუნე. დაარსა საამშენებლო კომპანია „ბანა,“ რომელმაც არაერთი საცხოვრებელი, კომერციული ფართები და ეკლესია-მონასტერი ააგო და რეაბილიტაცია გაუკეთა. ბატონო ასლან, ხართ ბედნიერი? როგორ ფიქრობთ, რა არის ბედნიერება?



–იცით, ყველაზე ბედნიერი ის არის, ვინც სხვისი ბედნიერებით ხარობს, მაგრამ ეს რომ მოხდეს, ჯერ თავად უნდა იყო ბედნიერი. სამყარო, რომელშიც ცხოვრობ, უნდა გიყვარდეს, საქმე, რომელსაც აკეთებ, უნდა მოგწონდეს. ადამიანები, რომლებიც შენს ირგვლივ არიან პატივისცემით უნდა იყოს განმსჭვალული. უნივერსალური ფორმულა ბედნიერებისა მე ჯერ არ გამიგია და არც მეგულება. სამწუხაროდ ზოგისთვის ბედნიერება გემრიელი საჭმელია, ზოგისთვის კუნძულებზე დასვენება. ბედნიერება მხოლოდ წუთიერი განცდა არ არის, ჩემთვის დიდი ბედნიერებაა ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, რათა ადამიანებს ჰქონდეთ სალოცავი. საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, ადამიანები კომფორტულად რომ ცხოვრობდნენ. ვახერხებ ჩემს ამომრჩევლებთან შეხვედრას, მათ მოსმენას. მინდა, მაქსიმალური და დეტალური დახმარების აღმოჩენა. საქართველო დიდი ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების ეტაპზეა. ფუნდამენტალური რეფორმებით ჩვენი ქვეყნის მთავრობამ დაიმკვიდრა თავისი ადგილი ევროპასა და მსოფლიო თანამეგობრობაში. დარწმუნებული ვარ და წუთით არ მეპარება ეჭვი, რომ საქართველო ერთიანი და ძლიერი ქვეყანა იქნება. უფალი არასოდეს მიგვატოვებს.



Honesty and professionalism

